ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 24 თებერვალი, 2021 №28 (8557) ფასი: 60 თეთრი

„ხელისუფლება გაშლეგდა და აიწყვიტა“

გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „თუ ოპოზიცია არ დაუშვებს შეცდომას, ამ ხელისუფლების საქმე დიდხანს ვეღარ გაგრძელდება“

„პოლიცია ღარიბაშვილსაც დაიჭერს“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „მელიამ ბიძინა-მიშას სიმბიოზი დაანგრია და ამიტომ მოიშორეს“

გვ.4

„დღეს საქართველოს გიჟები მართავენ“

გურამ ჩალაგაშვილი: „ხელისუფლება პუტინზე უარესად მოიქცა“

„ნიკა მელია პუტინის პირადი პოლიტიკური პატიმარია“



გვ.3

მურმან დუმბაძე: „გვიან ღამით თავად ნიკა მელიამ ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერი შეკრიბა და უთხრა, რომ პოლიციისადმი წინააღმდეგობა არ გაეწიათ“

„სააკაშვილის დანაშაულებზე ნიკა მელიამ პასუხი არ უნდა აგოს“

ანზორ აბრალავა: „პოლიტიკურ წინააღმდეგობებზე ძნელად დასაძლევია ფარული ეკონომიკური წინააღმდეგობები“

გვ.4

ირაკლი ღარიბაშვილი: „მინდა, მოვუწოდო ყველა პოლიტიკურ ძალას, გავხსნათ ნამდვილი და გულწრფელი დიალოგი“ გვ.2

გვ.2

ელისაშვილი: „უგულავა და ხაზარაძე რომ იბრიქებოდნენ, დაიცვეს მელია?!“

გვ.2

ნათია მეზვრიშვილი „ოცნების“ წინააღმდეგ

„მელიას დაკავებამ ქვეყანა უკან დახია“

„ნიკანორ მელიას დაკავებისას პოლიციამ პროპორციული ძალა გამოიყენა“ გვ.5

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შსს-მ აღასრულა

ISSN 1987-9385

2 ოპოზიცია 26 თებერვალს მასშტაბურ აქცია მოაწყობს

5 მეუფე მელქისედეკი: „საფრთხე ექმნება საქართველოს ევროატლანტიკურ სწრაფვას“

5 ნოდარ რუხაძე 2.000 ლარით დააჯარიმეს

6 ირანის უზენაესი ლიდერი: „ურანის გამდიდრებას გავზრდით“

გია ხუხაშვილი: „პოლიცია ღარიბაშვილსაც დაიჭერს“

„მელიამ ბიძინა-მიშას სიმბიოზი დაანგრია და ამიტომ მოიშორეს“

იაგო ნაცვლიშვილი

გუშინ, 23 თებერვალს, დილით ნაციონალური მოძრაობის ოფისში შსს-მ სპეცოპერაცია ჩაატარა და ნიკა მელია დაიჭირა, რასაც ოპოზიციის აქციები და საერთაშორისო საზოგადოების მწვავე განცხადებები მოჰყვა.

საით მიდის საქართველო და რა გვაჩვენა ნიკა მელიას დაკავებამ? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.

– ჩატარდა სპეცოპერაცია და თავს იქებენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, როგორ მაღალ დონეზე ჩაატარეს, რომ სისხლი არ დაიღვარა. რა მოგვცა განვითარებულმა პროცესებმა?

– კარგი არაფერი. პოზიტიურია ის, რომ ამ ყველაფერმა მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად ჩაიარა და ეს ორივე მხარის დამსახურებაა. მე ვიტყოდი, რომ უფრო ოპოზიციის. ჩემდა გასაკვირად, იქ ძიძგილაობა არ დაუწყიათ და წინააღმდეგობა არ გაუწიეს თუ უმნიშვნელო ეპიზოდებს არ ჩავთვლით. შესაბამისად, პოლიციის განცხადება, რომ ასეთი მაღალი დონის სპეცოპერაცია ჩაატარეს, სამარცხვინოა. 5.000 პოლიციელი მივიდა მელიას დასაჭერად და შეგახსენებთ, რომ ეს ის პოლიციაა, რომელსაც ბანკის მძარცველი ტყეში გაურბის და 6 თვე ვერ პოულობს. ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ ოპოზიციას რეალურად წინააღმდეგობა არ გაუწევია?!

– არ წავიდა ოპოზიცია გამწვავებაზე. სწორად მოიქცა?

– აბსოლუტურად სწორი ნაბიჯი იყო ოპოზიციის მხრიდან. ძიძგილაობა ყოველთვის ხელისუფლების გამარჯვებით მთავრდება. იმიტომ, რომ მას მეტი კუნთები აქვს და საბოლოო ჯამში მოგერევა.

– მაგრამ ისიც ხომ არის, რომ ამ შემთხვევაში ნათლად დაინახავდა დასავლეთი, რას წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლება.

– ახლაც ნათლად დაინახა დასავლეთმა. ამ პროცესს არაფერი არ დაკლებია ამით. ვხედავთ გამოხმაურებებს და ისინი კიდევ იქნება, ეს პროცესი ამ მიმართულებით გაგრძელდება.

– უმძიმესი განცხადება გაავრცელა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა.



– კი, გეთანხმებით.

ტაქტიკური მარცხი განიცადა ხელისუფლებამ, მაგრამ მეორე მხრივ მათი ტაქტიკური გზა გათვლადი იყო, მათ იცოდნენ, რომ ისინი ტაქტიკურად წააგებდნენ. ოპოზიციას არ ჰქონდა დღის წესრიგი და ფაქტობრივად მას ის შეუქმნეს, ამის გამო თავად დარჩნენ სტერილურები. მაგრამ რა მოტივი ამოძრავებდათ? მე ვფიქრობ, რომ ერთი იყო ის, რომ ამ ტიპის ხელისუფლებისთვის, შინაგანად ძალიან სუსტი ხელისუფლებისთვის ძალიან შიშის მომგვრელია ამ სისუსტის დემონსტრირება, ამიტომ მაქსიმალური აგრესიით იქცევა, რომ ვიღაცამ არ ჩაუთვალოს სისუსტედ. ეს იყო თვალების ბრიალი და ისტერიკა საპარლამენტო ტრიბუნიდან, რომელიც ღარიბაშვილმა მოაწყო. პაროდიული დიქტატურაა და ზუსტად ამას ნიშნავდა.

– პაროდიულია?

– პაროდიაა, აბა რა არის? ამ კაცს ლეგიტიმაცია არ აქვს. „ქართული ოცნების“ ამომრჩეველსაც კი არ მიუცია ხმა მისთვის. ამომრჩეველმა ხმა მისცა ივანიშვილსა და გახარიას. ღარიბაშვილს შეიძლება ოჯახის წევრებიც არ აძლევენ ხმას. აქედან გამომდინარე არანაირი ლეგიტიმაცია არ აქვს მას. მაგრამ ეს მისი არჩევანია.

მე ვფიქრობ, რომ ერთი მიზეზი ამ შინაგანი სისუსტის გადაფარვა იყო, მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ შიგნით, გუნდში სირთულეებია და იმისათვის, რომ დაჯგუფება შეკრა და ვინმე არ გაგექცეს და რაღაც პროცესები არ წავიდეს, საჭიროა საერთო დანაშაულის ჩადენა. სხვათა შორის, დანაშაული ადამიანებს ყველაზე მეტად აკავშირებთ ერთმანეთთან. სიყვარულსა და მეგობრობაზე მეტადაც კი. აი, ეს საერთო დანაშაული ჩაიდინეს.

მესამე მოტივი ის არის, რომ დაერღვათ პოლიტიკური მართვის მატრიცა, რომელიც იდგა ივანიშვილ-სააკაშვილის სიმბიოზზე. იყო ორი მოთამაშე, ახდენდნენ ერთმანეთის დემონიზებას და ორივე ამით სარგებლობდა. მელიამ ეს მატრიცა დაარღვია.

– ამას შეწირეს მელია?

– იყო სისხლიან 9 წელზე აგებული პროპაგანდა, მერე მიშაზე მიბმული და მერე ვინც შენთან არ არის, შენი მტერია – ამ პრინციპით ყველას აყვანა მიშას ტიტანიკზე და მერე ჩარეცხვა. ეს მელიასთან მიმართებაში არ მუშაობდა, შესაბამისად, მელია ჰყავდათ მოსაშორებელი და სტატუსკვო აღსადგენი ანუ მიშა დასაბრუნებელი ამ პროცესში მონაწილეობის თვალსაზრისით. ქვეცნობიერად თუ ცნობიერად ამას ემსახურებოდა, რომ მიშა დაებრუნებინათ ნაციონალურ მოძრაობაში და მასთან ჰქონოდათ დიდი სიყვარული და კომფორტი.

მელიამ ეს ყველაფერი აურია და განსაკუთრებით ამიტომ ანერვიულდნენ მელიაზე. ამ საქმეს ბევრი ფიგურანტი ჰყავს და ისმის კითხვა, რაღა მაინცდამაინც მელია? იმიტომ, რომ ეს მათთვის არის კარგად დალაგებული პოლიტიკური პროცესის მართვის სქემა.

საქმე არის პოლიტიკური. იმიტომ, რომ წარმოიდგინეთ, როგორ აბსურდში ვართ. მელიასთვის არავის არაფერი მიუსჯია. თეორიულად ჯერ კიდევ შეიძლება, რომ მელია გამართლდეს ამ საქმესთან დაკავშირებით. ის არ არის მსჯავრდებული. ამიტომ, როდესაც ადამიანს ასეთი პომპეზურობით იჭერ და, მით უმეტეს, როდესაც ეს ადამიანი პარტიის თავმჯდომარეა, რა თქმა უნდა, საქმე პოლიტიკურია.

საქმის არსებითი განხილვა რომ იყოს დასრულებული და მისჯილი ჰქონდეს, კიდევ რაღაცა იქნებოდა, მაგრამ კაცს მისჯილი არ აქვს, საეჭვო საქმეა და ბევრი კითხვის ნიშანია. ამაზე რა კომენტარი უნდა გაკეთდეს. რა თქმა უნდა, ტაქტიკური მარცხი განიცადა ხელისუფლებამ. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ უცხოეთიდან წამოვა აგრესია, რაც შეიძლება დასრულდეს მძიმე შედეგებით.

– სანქციებს არ უნდა ველოდოთ?

– თუ ასე გაგრძელდა, რაღაც ეტაპზე ეს საკითხი აუცილებლად დადგება.

– მოუწევს მელიას ციხეში დიდი ხნით ყოფნა?

– ეს ყველაფერი დამოკიდებულია პოლიტიკურ პროცესზე. ფაქტია, რომ მოლაპარაკებების სივრცე საერთოდ დაიკეტა. საბოლოოდ მიჯახუნდა კარი. გვაქვს მოცემულობა, რომ ხელისუფლება არის სტერილური, თვითსტერილიზაცია განიცადა და ცალკეა ოპოზიცია, იმიტომ, რომ ვინც პარლამენტში დარჩა, მათი ოპოზიციად მოხსენიება წარმოუდგენელი მგონია.

ამას გარდა, უამრავი პრობლემაა ქვეყანაში. რომელთა გადაწყვეტასაც სჭირდება საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია. ასეთი ვითარებაა და ამ სიტუაციაში ხელისუფლება იქნება აფექტის მდგომარეობაში. თითქოს რაღაცას გეგმავენ, მაგრამ აბსოლუტურად აფექტური და სტერილურია და, შესაბამისად, არაპროგნოზირებადია. ასე რომ, კარგ სცენარებს ვერ ვხედავ.

– თქვენ დაწერეთ, პოლიციას ნუ ლანძღავთ, ის ღარიბაშვილსაც დაიჭერსო. გაქვთ ამის მოლოდინი?

– ეჭვი გეპარებათ, რომ ეს ასე იქნება? მე დავწერე ის, რასაც ვფიქრობ. მე მგონი, რომ თქვენც ასე ფიქრობთ და არაფერი განსაკუთრებული არ დამიწერია, ასე იქნება. უბრალოდ, ტრაგედია ის არის, რომ ღარიბაშვილს არავინ არ დაიცავს, მელიას ვიღაცები იცავენ, მაგრამ ღარიბაშვილი ვინ უნდა დაიცვას?!

ირაკლი ღარიბაშვილი: „მინდა, მოვუწოდო ყველა პოლიტიკურ ძალას, გავხსნათ ნამდვილი და გულწრფელი დიალოგი“

– დღეს, როდესაც აღსრულდა კანონი და სახელმწიფო დადგა თავის სიმაღლეზე, მინდა, მოვუწოდო ყველა პოლიტიკურ ძალას, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყანა, გავხსნათ ნამდვილი დიალოგი, ვისაუბროთ არა იმაზე, თუ რა გვყოფს, არამედ იმაზე, თუ რამ უნდა გაგვაერთიანოს.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების ფონზე, არა დაპირისპირების, არამედ დიალოგის დროა.

„ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების ფონზე, არა დაპირისპირების, არამედ დიალოგის დროა. ვთავაზობ ყველა ჯანსაღად მოაზროვნე ოპოზიციურ ძალას, შევიდნენ პარლამენტში და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო გამოვიყენოთ მთავარ პლატფორმად დისკუსიისთვის. როგორც გუშინაც აღვნიშნე, ჩვენ მზად ვართ ნამდვილი დიალოგისთვის ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ფორმატში.

ერთად ვიზრუნოთ ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებაზე, დემოკრატიული სისტემის შემდგომ გაძლიერებაზე, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დაძლევაზე, ევროკავშირსა და ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციაზე.

ჩვენს სამშობლოს დასაკარგი დრო არ აქვს. დღეს არა დაყოფის, არამედ გაერთიანების დროა. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი“ – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ნათია მეზვრიშვილი „ოცნების“ წინააღმდეგ

„მელიას დაკავებამ ქვეყანა უკან დახია“

მთავრობის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი ნათია მეზვრიშვილი აცხადებს, რომ უკვე შემდგარი ფაქტია, რომ ერთი ბრალდებულის დევნამ „კანონის სახელით“ ქვეყანა დახია უკან. ამის შესახებ მეზვრიშვილი ფეისბუქის გვერდზე წერს:

„ძალიან მოკლედ იმაზე თუ როგორ შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო, როგორ შეიძლებოდა ბრალდებული პატიმრობის გარეშე დარჩენილიყო განაჩენის გამოტანამდე და ქვეყნისთვის აგვერიდებინა ის დამაზიანებელი პროცესები, რაც დღეს ხდება:

პირველ რიგში – არ ვეხები ბრალდებულის დამნაშავეობა – უდანაშაულობის საკითხს. ვეხები აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საკითხს, რასაც სამართლებრივად არანაირი კავშირი არ აქვს ბრალდებულის მიმართ საბოლოო განაჩენთან.

სულ რომ თავი დავანებოთ პატიმრობის აღსრულების, ანუ დაკავების ფორმას, შეუძლებელია პროცესის ბოლო ნაწილი (პატიმრობის აღსრულება) იყოს სამართლებრივად გამართული, მაშინ, როცა აღსრულებამდე მთლიან პროცესში იყო არაერთი კითხვის ნიშანი. ამაში დამეთანხმება ყველა, ვისაც აღკვეთის ღონისძიების საფუძვლების შესახებ რაიმე სმენია და ვინც კარგად იცნობს ამ მხრივ პრაქტიკას...

და ბოლოს, ყველაზე მთავარი – ეს ფაქტი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ქვეყანამ წააგოს „კანონის აღსრულების სახელით“. არავინ ამბობს, რომ კანონი არ უნდა აღსრულდეს, მაგრამ არა ქვეყნის ინტერესების, იმიჯის და დასავლური გზით განვითარების მომავალი პერსპექტივის ხარჯზე. დღეს უკვე შემდგარი ფაქტია, რომ ერთი ბრალდებულის დევნამ „კანონის სახელით“, ქვეყანა დახია უკან“.

აშშ-ის საელჩო: „ნიკა მელიას დაკავებით ღრმად შეშფოთებული ვართ“

აშშ-ის საელჩო საქართველოში ნიკა მელიას დაკავებას ასე გამოეხმაურა:

„ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ღრმად არის შეშფოთებული მთავრობის გადაწყვეტილებით მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაკავების გამო ამ დილით პარტიის სათავო ოფისში.

ვწუხვართ, რომ შეერთებული შტატებისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორების მოწოდებები თავშეკავებისა და დიალოგისკენ უგულებელყოფილი იყო.

შეძრწუნებული ვართ კრიზისის დროს საქართველოს ხელმძღვანელი პირების მიერ გამოყენებული განხეთქილების გამომწვევი რიტორიკით. ძალისმიერი მეთოდები და აგრესია არ არის საქართველოს პოლიტიკური უთანხმოებების გადაჭრის გზა.

დღეს საქართველომ უკან დაიხია ევროატლანტიკურ სახელმწიფოთა ოჯახში უფრო ძლიერი დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე.“

„საპატიმროს დატოვების ორი გზა არსებობს“

რას სთავაზობს „ოცნება“ მელიას

„ქართული ოცნების“ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძის განცხადებით, ნიკა მელიას მიერ საპატიმროს დატოვების ორი გზა არსებობს – ენმ-ის თავმჯდომარემ ან ბრალი უნდა აღიაროს, ან გირაოს თანხა გადაიხადოს.

რუსთავი 2-ის ეთერში სამხარაძემ აღნიშნა, რომ ახლა უკვე თავად მელიას ხელშია, რომელ გზას აირჩევს.

– სამართლებრივი გზა ახლაც არსებობს, ეს არის ისევ და ისევ გირაოს გადახდა და ასევე, ნაწილობრივ, ნიკა მელიას მიერ ბრალის აღიარება. მას საჯარო გამოსვლებშიც აქვს ნათქვამი, რომ ის იჭრებოდა პარლამენტში – ის ამას თუ აღიარებს სასამართლოშიც, მე მგონი, გამოსავალი იქნება ყველასთვის ძალიან კარგი. ეს მის ხელშია, როგორც აქამდე იყო, – განაცხადა სამხარაძემ.

ელისაშვილი: „უგულავა და ხაზარაძე რომ იბრიქებოდნენ, დაიცვეს მელია?!“

– იბრიქებოდნენ იქ გიგი უგულავა და მამუკა ხაზარაძე – დაიცვეს მელია?! სპეცრაზმის მიმოფანტვას რომ გეგმავდნენ, ვინ შეატოვეს? – ისევ საწყალი ხალხი და საწყალი აქტივისტები დააჭერინეს!

ამის შესახებ ჟურნალისტებთან დეპუტატმა, „მოქალაქეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა.

– აი, ასეთი ლიდერები არიან ესენი – უბრალო აქტივისტები შეატოვეს და უბრალო აქტივისტები დააკავებინეს! აბა ვინ არის ნიკა მელიას გარდა დაკავებული?! – აღნიშნა ელისაშვილმა.

მისივე თქმით, როგორც ერთი, ასევე მეორე მხარე უნდა დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან, რაც შექმნილ ვითარებაში, უალტერნატივოა.

ამაზე ნანუკა ჟორჟოლიანმა ფეისბუქში დაუწერა:

„უგულავაც იქ იყო და ყველა ლიდერი, აი, შენ სად ხარ, ეგაა საქმე.“

ოპოზიცია 26 თებერვალს მასშტაბურ აქციას მოაწყობს

ოპოზიცია 26 თებერვალს მასშტაბურ აქციას აანონსებს.

როგორც ნაციონალური მოძრაობის წევრმა, ხატია დეკანოიძემ მთავრობის ადმინისტრაციასთან გამართულ აქციაზე განაცხადა, დიდი მსვლელობა 26 თებერვალს, 15:00 საათზე დაიწყება.

– ახლა ჩვენ, თითოეული პატრიოტი და თვითონ ნიკა, მოგიწოდებთ, 26 თებერვალს, 15:00 საათზე ფილარმონიიდან დავიწყოთ დიდი მსვლელობა, რომელიც მიეძღვნება ოკუპაციას როდიონოვების, გავრილოვების წინააღმდეგ, ეს იქნება მსვლელობა თავისუფლებისთვის, – აღნიშნა ხატია დეკანოიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: **akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: **axtaoba@mail.ru**
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ხელისუფლება გაშლეგდა და აიწყვიტა“

თორნიკე შარაშენიძე: „თუ ოპოზიცია არ დაუშვებს შეცდომას, ამ ხელისუფლების საქმე დიდხანს ვეღარ გაგრძელდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, ბოლო დღეებია ელვისებური სისწრაფით ვითარდება პროცესები. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით? თქვენი სტატუსი ვნახე, სადაც წერთ, არასდროს არ არის გვიანი ამ ქვეყნიდან წასვლაო. არ არის ამ ქვეყნის საშველი?

– რა გითხრათ აბა?! სამწუხაროდ, ეს ავადმყოფობაა. როგორც ჩანს, ძალაუფლებაში ყოფნა ყველას აგიჟებს და ახლა ჩვენ ამის დემონსტრაციას ვხედავთ. საოცარია ამდენი სისულელის ჩადენა ჯერ ოპოზიციის და მერე ხელისუფლების მხრიდან. ჯერ ოპოზიციამ ჩაიდინა ამდენი სისულელე, მაგრამ ხელისუფლებამ ისე ქნა, იმდენი სისულელე ჩაიდინა, რომ ოპოზიციის ჩადენილი სისულელეები ისევ ოპოზიციის გამარჯვებად აქცია.

– ვერ იაზრებენ რას ჩადიან? ერთი და იგივე წრეზე რამდენ ხანს უნდა ვიაროთ?

– სამწუხაროდ, ხალხი ვერ სწავლობს ჭკუას. ძალაუფლება კი, როგორც ჩანს, აგიჟებს ძალიან სერიოზულად. მე სხვა დასკვნის გაკეთება, ამის შემყურე, არ შემიძლია.

– კანონზე მაღლა ვერავინ დადგებაო. ნიკა მელიას სასამართლომ გამოუტანა განაჩენი. სად იყო გამოსავალი, არ უნდა აღსრულებულიყო სასამართლოს გადაწყვეტილება? როგორ უნდა გამომძვრალიყო მშრალად ხელისუფლება? სწორედ ამის გამო გადადგა პრემიერი გახარია. არ უნდა დაეკავებინათ, თუ რას უწოდებთ თქვენ გონივრულ ნაბიჯს?

– კანონზე მაღლა ნამდვილად არავინ არ უნდა იდგეს, მაგრამ, როცა დამოუკიდებელი სასამართლო არ გაქვს და ეს ყველამ მშვენივრად იცის, ამ დროს ცოტა უხერხულია მსგავსი ბანალური ფრაზების ტრიალი. მით უმეტეს მაშინ, როცა ეს სამართლებრივი თემა არ არის და პოლიტიკური თემაა. პოლიტიკური ბრძოლა კი ქვეყანაში დასრულებული არ იყო. ასე რომ, ასეთ დროს აუტკივარი თავის ატკივება და სახელმწიფოს გახვევა შარში, ეს იყო უკიდურესი სისულელე და ვის თავში მოიხარშა, მართალი გითხრათ, მე არ ვიცი. გავა დრო და გავიგებთ ალბათ.

– დასავლეთი, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები დაირაზმა ხელისუფლების წინააღმდეგ, საკმაოდ მკაცრ შეფასებებს ვისმენთ. რა მოლოდინი გაქვთ?

– 7 ნოემბრის შემდეგ მე ასეთი მწვავე და მსგავსი შეფასებები არ მახსოვს. 7 ნოემბრის შემდეგ სააკაშვილიც გადადგა და არჩევნებიც დაინიშნა. წავა ამაზე ეს ხელისუფლება? შევხედოთ, რა იქნება. თუ ოპოზიცია არ დაუშვებს შეცდომას, დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამ ხელისუფლების საქმე დიდხანს ვეღარ გაგრძელდება.

– ანუ წასულია მათი საქმე?

– კი, ასე თუ გააგრძელეს, აღარაფერი უშველით. მე არ ვიცი, რამ უნდა გადაარჩინოს ასეთი მძიმე კრიტიკის შემდეგ ეს ხელისუფლება. თუ სასწრაფოდ რამე არ იღონეს და რაღაც გამოსავალი არ იპოვეს.

– რაშია გამოსავალი? და რას გულისხმობდით ოპოზიციის შეცდომაში?

– რამე გიჟური განცხადება, რამე გიჟური ნაბიჯი. მსგავსი უამრავი გაუკეთებია ოპოზიციას. ამიტომ მათ ქმედებებზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

– წავა „ქართული ოცნება“ ვადამდელზე?

– ამ სიტუაციაში, ასეთი კრიტიკის შემდეგ, რომელიც დასავლეთიდან მოდის, ან ვადამდელზე უნდა წავიდნენ, ან სასწრაფოდ რაღაც გამოსავალი უნდა მოიფიქრონ. მინიმუმ, მელია უნდა გაათავისუფლონ. სხვა რა უნდა მოიფიქრონ, მართალი გითხრათ, არ ვიცი. ეს მათი პრობლემაა.

– მელიას გათავისუფლება რომ ნდომებოდათ, არც დააპატიმრებდნენ.

– ძალის დემონსტრირება მოახდინეს და, როგორც ჩანს, არ ელოდნენ ასეთ მძიმე რეაქციას. ახლა როგორმე უნდა იპოვონ გამოსავალი.

– აგორდება საპროტესტო ტალღა? მელიას დაპატიმრებამდე ერთი დღით ადრე, ოპოზიციამ გეგმები შეცვალა, დაანონსებული აქცია გააუქმა და უკან დაიხია. თუმცა სიტუაცია შეიცვალა.

– როგორც ჩანს, სწორედ ამან გაათამამა ხელისუფლება. ოპოზიციამ დაიხია უკან, იმიტომ, რომ მათ აშკარად ბევრი ხალხი ვერ გამოჰყავდათ. პლუს ამას 25 თებერვალს ტემპერატურის მკვეთრი ვარდნაა. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ოპოზიცია დამთავრებული იყო და დღესვე გადაწყვიტა მელიას აყვანა. არ აეყვანათ მელია არც დღეს, არც ხვალ, არც ზეგ და გაგრძელებულიყო კიდევ დიდი ხნით მელიას ყოფნა იმ ოფისში. ამით ხომ ხელისუფლება იგებდა საბოლოო ჯამში? მელია აღმოჩნდებოდა უხერხულ მდგომარეობაში, განა რამდენი ხანი უნდა ყოფილიყო ოფისში ჩაკეტილი?! მაგრამ, არა, ხელისუფლებამ ოპოზიციას აჯობა სისულელეში.

– ისევ ოპოზიციის ანკესზე წამოეგო ხელისუფლება?

– კი, ასე გამოდის. როგორც ჩანს, სხვანაირად არ შეუძლიათ.

– საკმაოდ მკაცრია დასავლეთის შეფასებები. რას ელოდებით?

– სამწუხაროდ, ძნელია პროგნოზი. რადგან ისეთი ხისტი ადამიანია დღეს ხელისუფლების სათავეში, ვგულისხმობ ირაკლი ღარიბაშვილს, რომ რთულია წინასწარ რაიმე განსაზღვრო.

– გახარია უფრო გაწონასწორებული ფიგურა იყო?

– გახარია იყო ადამიანი, რომელიც ზრუნავდა სახელმწიფო ინსტიტუტებზე მაინც. ის პარტიული ნიშნით და პირადი ერთგულების ნიშნით მაინც არ იყო არჩეული. მე ვიცი, რომ მისი საკადრო პოლიტიკა იყო ძალიან ჭკვიანური. გარშემო ძალიან კარგი საჯარო მოხელეები და პროფესიონალების გუნდი შემოიკრიბა და აძლიერებდა ინსტიტუტებს. ღარიბაშვილის მუშაობის სტილს მე არ ვიცნობ, მაგრამ, როგორც პოლიტიკოსმა, ფაქტია, თავი დაგვამახსოვრა, როგორც ძალიან ხისტმა ადამიანმა.

– თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდში ყოველთვის დადებითი იყო ხელისუფლების მისამართით, გახარიას პრემიერობის პირობებში. შეიცვალა ეს დამოკიდებულება?

– კი, ასე იყო ნამდვილად. ნორმალურად მუშაობდა ხელისუფლება, რასაც გარედან ვაკვირდებოდი, ოპოზიცია კი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. ამ სიტუაციაში მთავრობას არავინ არ უშლიდა ხელს, რომ მშვიდად, წყნარად, გართულებების გარეშე მიეყვანათ საქმე საბოლოო გამარჯვებამდე. თუმცა, რატომღაც ვიღაცამ მოინდომა მელიას დაკავება და შარი აიტეხა ძალიან სერიოზული.

– არის ეჭვი, რომ ვადამდელი არჩევნების ჩატარება უნდათ და მიზანმიმართული პროცესიაო. ასეა?

– მე არ მესმის ამ ყველაფრის. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, რომ რაციონალური ახსნა ვიპოვოთ ხოლმე და, როგორც ჩანს, ამ ახსნას რაღაც-რაღაცები არ ექვემდებარება. ეს ქმედება არანაირად არ აიხსნება. ისე ჩანდა, რომ არჩევნების შემდეგ ხელისუფლება თამაშობდა ჭკვიანურად. ოპოზიციამ სისულელე ჩაიდინა. იყო მოლოდინი, რომ ხელისუფლება ჭკვიანურ თამაშს გააგრძელებდა, მაგრამ რაღაც მომენტში უცებ გაშლეგდნენ და აიწყვიტეს. დასავლეთის ასეთი კრიტიკა სერიოზული პრობლემაა ამ ხელისუფლებისთვის. ოპოზიცია რომც გააჩერონ, მათ რას მოუხერხებენ?!

– დასავლეთი თითქოს ხელისუფლების მხარეს იყო და ოპოზიციას აკრიტიკებდა. ასე უცებ როგორ შეძლეს სიტუაციის მათ წინააღმდეგ შემობრუნება?

– აი ასე თავდაყირა დააყენეს მთელი თავიანთი ნამუშევარი. მართლაც ნორმალურად მუშაობდნენ და აი ასე უცებ აირივნენ.

– რუსული ინტერესებიაო. ასეა?

– სულ რუსულ ინტერესებზე საუბრობენ ყველგან და ამ განცხადებებმაც დამღალა მართალი გითხრათ. რთულია პროგნოზირება თუ რა და როგორ იქნება. რთული სიტუაციაა.

„ნიკა მელია პუტინის პირადი პოლიტიკური პატიმარია“

მურმან დუმბაძე: „გვიან ღამით თავად ნიკა მელიამ ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერი შეკრიბა და უთხრა, რომ პოლიციისადმი წინააღმდეგობა არ გაეწიათ“

ნათია ხურცილავა

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნიკა მელიას დაკავებაზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, როგორია ოპოზიციის ტაქტიკა, იცვლება თუ არა მოთხოვნები და ელოდებით თუ არა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას?

– 26 თებერვალს დიდი აქცია გაიმართება. ეს იქნება მშვიდობიანი მიტინგი-დემონსტრაცია, რომელიც ხელისუფლებას კარგად აუხსნის და გააგებინებს საით მიდის ეს ქვეყანა. წავა თუ არა იქ, სადაც მისი ადგილია თუ წავა ჩრდილოეთისკენ, საითკენაც დღესაც გვექაჩებიან. პარლამენტის წინ გავშალეთ კარვები და დავიწყეთ პერმანენტული უწყვეტი აქციები.

– რას ნიშნავს უწყვეტი?

– ეს აქციები გაიმართება მანამ, სანამ საქართველოში რუსული მმართველობა არ დასრულდება. პირდაპირი მნიშვნელობით ამას ნიშნავს. მე თქვენ ახლა სწორედ ერთ-ერთი ასეთი კარვიდან, აქციიდან გესაუბრებით. ჩვენ ვიქნებით რუსთაველზე უწყვეტად, სანამ არ დაინიშნება ვადამდელი არჩევნები.

ვადამდელ არჩევნებს დაემატა კიდევ ერთი მოთხოვნა, დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს ნიკა მელია.

– თქვენ იყავით ნიკა მელიას გვერდით დაკავების დროს. ელოდით მოვლენათა ასეთ განვითარებას?

– მე ვიყავი იმ ოთახში, სადაც იყო ნიკა მელია. მელიას გარეთ გაყვანა გართულდა, წინააღმდეგობა გაუწიეს მისმა მეგობრებმა, ეს იყო მხოლოდ მშვიდობიანი წინააღმდეგობა და პასუხად მივიღეთ წიწაკის სპრეი, მხუთავი აირი, რომლის გამოყენება დახურულ სივრცეში ყოვლად დაუშვებელია. მხუთავმა აირმა ადამიანებს გონება დააკარგვინა.

ეს იყო შტურმი, სამხედრო ოპერაცია რუსული მმართველობის მიერ 23 თებერვალს ჩატარებული. ჩემი პოლიტიკური გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ, რა არ მინახავს ამ ქვეყანაში, როგორი ხელისუფლება, რანაირი მმართველობა, მაგრამ მსგავსი არაფერი. 23 თებერვალს ოპოზიციის ლიდერის ფეშქაშად მირთმევა პუტინისთვის – არა. დღეს ამ სპეცოპერაციით მხოლოდ კრემლში არიან გახარებულები, სხვაგან არსად.

– ამერიკის საელჩომ საქართველოში, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის აზრს გამოხატავს, განაცხადა, რომ თქვენ დაშორდით ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს. ზურაბ ჯაფარიძემ ეჭვი გამოთქვა, რომ შეიძლება სწორედ ეს იყო მიზანიც. რას იტყვით?

– ამ ქვეყანას 30 წლის მანძილზე პოლიტპატიმრებიც ჰყოლია. სხვადასხვა ხელისუფლებას უდანაშაულო, პოლიტიკური მოტივებითაც დაუკავებიათ ადამიანები, მაგრამ ეს არის პირველი ნიშანი, როდესაც პოლიტიკოსი დააკავეს იმის გამო, რომ მან ოკუპანტი სახელმწიფოს მაღალჩინოსნის ჩამოყვანა და სახელმწიფოს სავარძელში ჩასმა გააპროტესტა. ანტისაოკუპაციო მიტინგში მონაწილეობის გამო 23 თებერვალს, ოკუპაციის ასი წლისთავზე დააკავო ადამიანი, მე ასეთი რამე საქართველოში არ მახსენდება. ეს არ გაკეთებულა არც შევარდნაძის დროს, არც მიშას დროს და თქვენ წარმოიდგინეთ, ეს არ გაუკეთებია არც ასლან აბაშიძეს, რომელსაც ბათუმში რუსული ტანკები იცავდნენ. დღეს ნიკა მელია პუტინის პირადი პოლიტიკური პატიმარია, ეს ცხადზე ცხადია.

– ოპოზიციის ლიდერები აცხადებდნენ, რომ ნიკა მელიას არ გაატანდით. გამოდის, რაღაც შეიცვალა?

– როგორც ჩანს, ისინი წინააღმდეგობას ელოდნენ, რაც ძალიან სახიფათო შედეგებამდე მიგვიყვანდა. ოპოზიციის ლიდერებმა ამაზე უარი ვთქვით. გვიან ღამით თავად ნიკა მელიამ ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერი, ადამიანები, რომლებიც რამდენიმე დღე და ღამე მასთან იყვნენ, შეკრიბა და უთხრა, რომ პოლიციისადმი წინააღმდეგობა არ გაეწიათ. ეს იქნებოდა ძალიან დიდი ხიფათის შემცველი და ამაზე მან უარი თქვა. – ეს არის საქართველო, ეს არის ჩვენი სამშობლო და ჩემ გამო არავინ არ უნდა დაზიანდეს – ასე მიმართა მან იქ შეკრებილ უამრავ ადამიანს. ბოლო წუთსაც კი, როდესაც ის ოთახიდან გაჰყავდათ. არავითარი შეურაცხმყოფელი სიტყვაც კი არ ეთქვა არავის პოლიციისადმი. ეს იყო მისი გადაწყვეტილება.

– ბატონო მურმან, ოპოზიციის ლიდერებს გქონდათ თათბირი, შეხვედრა, ხართ კმაყოფილი დასავლეთის რეაქციით თუ უფრო მეტს ელოდით?

– არა, დღევანდელი დღისთვის სრულიად ნორმალური და ადეკვატური გამოხმაურებებია დასავლელი პარტნიორების მხრიდან. დარწმუნებული ვარ, ეს გამოხმაურებები კიდევ უფრო მოიკრებს ძალას. არავინ არ დარჩენილა, ვისაც რაიმე მოეკითხება დემოკრატიასა და მის უზრუნველყოფაზე, რომ არ მიემართა ხელისუფლებისთვის. ეს არის სრული სიგნალი, რათა ხელისუფლება კიდევ ერთხელ დაფიქრდეს თუ მას ეს ძალუძს.

– სადამდე შეიძლება ეს ყველაფერი მივიდეს? ამის მერე რა იქნება?

– არჩევნები, არჩევნები და მხოლოდ არჩევნები. ამ პოლიტიკურ პროცესს მხოლოდ ერთადერთი დასასრული აქვს ამ ქვეყანაში, ვადამდელი არჩევნები და ეს ასეც იქნება.

„დღეს საქართველოს გიჟები მართავენ“

გურამ ჩალაგაშვილი: „ხელისუფლება პუტინზე უარესად მოიქცა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.

– ბატონო გურამ, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? ნიკა მელია დაკავებულია. დასავლეთიდან ისმის სერიოზული კრიტიკა. ხელისუფლება კი აცხადებს კანონზე მაღლა ვერავინ დადგებაო. რას იტყვით თქვენ?

– ყველაზე მთავარი შეფასება ვისაც უნდა გაეკეთებინა, ეს არის ჩვენი დასავლელი პარტნიორები, მათგან უკვე მოვისმინეთ უმწვავესი განცხადებები. დაწყებული ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოდან, ევროკავშირის ელჩებით დასრულებული.

– საკმაოდ მწვავე იყო ამერიკის საელჩოს განცხადება. ეს ბევრის მთქმელიაო და რას უნდა ველოდოთ?

– რა თქმა უნდა, ბევრის მთქმელია. აქ საუბარი არ არის მხოლოდ და მხოლოდ ნიკა მელიას დაკავებაზე. აქ ხაზგასასმელია და ყურადღება მისაქცევია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, ამერიკის საელჩომ პირდაპირ გვითხრა, რომ ეს არის უკან გადადგმული დიდი ნაბიჯი. ქვეყანა არ მიდის ნატოსკენ და ევროატლანტიკური კურსისკენ. რისთვისაც ამდენი წელი ეს ქვეყანა იბრძოდა, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის, აი ამ ერთი რუსული სპეცოპერაციით ამდენი წლის ნაშრომი, რამდენიმე საათის არჩეულმა პრემიერმა ყველაფერი ჩაყარა წყალში. ძალიან მარტივია ამ ყველაფრის შეფასება. მათ არ აინტერესებთ არც ერთი ადამიანის ბედი, ვინც ამ ქვეყნისთვის ცხოვრობს. მათ შორის, არც საკუთარი ამომრჩეველი. ისინი ზრუნავენ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარი ოჯახების კეთილდღეობაზე და ცდილობენ, რაც შეიძლება დიდი ხანი შეინარჩუნონ სკამები. რაც შეიძლება მეტი ფული გამოხრან სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მეტი ფული ჩაიდონ ჯიბეებში, რათა რამდენიმე თვეში, როდესაც ამ ქვეყნიდან გაქცევა მოუწევთ, დარჩენილი ცხოვრება უზრუნველად გაატაროონ.

– მოვისმინეთ პრემიერ-მინისტრის და პირველი პირების შეფასებები, მადლობა გომელაურს, მადლობა პოლიციას, არავინ დაშავებულა, ეს იყო უნაკლო სპეცოპერაციაო. ამაზე რას იტყვით?

– არ დაშავებულა, ცოტა ისეთი ნათქვამია, გააჩნია ეგენი დაშავებას რას ეძახიან. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც ახალგაზრდებს თვალები დათხარეს და მაშინაც ამბობდნენ, რომ ძალა არ გადაუმეტებიათ. ეს ის ხალხია, რომლისთვისაც თვალების დათხრაც არაფერს არ ნიშნავს. აქ რომ ასობით ადამიანს სისხლი მოსდიოდა ცხვირპირიდან, ზოგს რომ თავი აქვს გატეხილი და ზოგს ცხვირი. ათეულობით ადამიანი გადაიყვანა სასწრაფო დახმარებამ საავადმყოფოებში, ეს თურმე არაფერს არ ნიშნავს. უნაკლო ოპერაცია თუ ჰქვია ამას, ეს მხოლოდ მათი შეფასებაა.

– ჩვენ გვინახავს ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციები და მათ მიერ დარბეული მიტინგებიო.

– ისევ პარალელებს ავლებენ. სხვა აღარაფერი დარჩენიათ, ცდილობენ რამენაირად თავი გაიმართლონ. ესენი არიან სულით ავადმყოფი ადამიანები. დღეს ჩვენს ქვეყანას მართავენ გიჟები, პრემიერ-მინისტრიდან დაწყებული, დანარჩენებით გაგრძელებული. აბა, როგორ შეიძლება ასეთი რაღაც გააკეთო დილით, უთენია. თუ ასეთი მაგრები და ძლიერები იყვნენ, ბადრი ესებუას წინააღმდეგ ჩაეტარებინათ სპეცოპერაცია. მილიონებით რომ გაუშვეს მშვიდად. სპეცრაზმმა რომ გააცილა ტყეში, მიყვა საზღვრამდე, რომ უპრობლემოდ გადასულიყო. აი ამ რეალობაში ვცხოვრობთ. მართლა აღარ შეიძლება ამის მოთმენა და ამის ყურება. ეს არის შეუძლებელი.

– გახარია მიხვდა, რა პროცესები მოყვებოდა ამ ყველაფერს, დაასწრო და განერიდა სიტუაციასო. ახლა უკვე გამოჩნდა მისი გადაწყვეტილების სისწორე?

– სისწორედ ვერ აღვიქვამ მე ამ ყველაფერს და ვერ შევაფასებ, როგორც სწორ ნაბიჯს. ეს დამალვას უფრო ჰგავს. ძალიან მარტივად შეეძლო მას სულ სხვა გადაწყვეტილება მიეღო. თუ ის მართლა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი იყო, შეეძლო მთლიანად შემოებრუნებინა პროცესი.

– როგორ?

– თუნდაც გადაეყენებინა შს მინისტრი.

– როგორც ჩანს, ის არ იყო დამოუკიდებელი საკუთარ გადაწყვეტილებებში.

– რას უზამდნენ? ლინჩის წესით გაასამართლებდნენ. შეეძლო მას პროცესების შემობრუნება. თუმცა მან სირაქლემას პოზა არჩია და განერიდა ამ ყველაფერს.

– რა გეგმები აქვს ოპოზიციას? ამ მოვლენებამდე ერთი დღით ადრე, ოპოზიციამ განაცხადა, რომ 25 თებერვალს დაანონსებული აქცია გადადო, თუმცა პროცესები ელვისებური სისწრაფით შეიცვალა.

– ოპოზიცია უკან დახევას არ აპირებს. გამოსავალი არის ერთადერთი, დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები, პირველ რიგში, ნიკა მელია და სასწრაფოდ დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები.

– ღარიბაშვილმა პირდაპირ განაცხადა, რომ ვადამდელ არჩევნებზე საუბარიც კი ზედმეტიაო...

– მოუწევთ. ახლა სულ სხვა მოცემულობაა. ვხედავთ დასავლელი პარტნიორების განცხადებებს. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში საქართველოს ელჩია დაბარებული, მას

კარგი დღე ნამდვილად არ დაადგება. თავზე ხელს არავინ გადაუსვამს. უბედურება ისაა, რომ ჩვენი ქვეყანა ზარალდება ამით. სერიოზულ სანქციებზეა საუბარი.

– როგორ ფიქრობთ, შეძლებთ საპრეტესტო მუხტის აგორებას?

– დროა ხალხი მიხვდეს, რომ ასე არაფერი გამოვა. დროა ვთქვათ ჩვენი სათქმელი. ხელისუფლება ახლა შეშინებულია, არ ელოდნენ ასეთ რეაქციებს დასავლეთიდან. რა ხდება კანცელარიასთან, ხომ ვხედავთ, როგორი მობილიზება გამოაცხადეს.

– გამოვა მასობრივად ხალხი ქუჩაში?

– მთლიანად გადაკეტეს ქალაქში შემოსასვლელი გზები და ეს უამინდობას და ლიპყინულს დაუბრალეს. რეალურად ხალხის შემოსვლის ეშინიათ. აღარავის უშვებენ რეგიონებიდან. თუმცა თბილისშიც საკმარისი მოსახლეობაა. დროა გამოვიდეს ხალხი და თქვას, რომ ცვლილებები უნდა. ვადამდელი არჩევნებია ერთადერთი გამოსავალი არსებული სიტუაციიდან და ხელისუფლებას სხვა გზა არ დარჩენია. უნდა გამოუშვას მელია და დანიშნოს ვადამდელი არჩევნები. პუტინი რომ არ მოქცეულა რუსეთში, ისე იქცევა ეს ხელისუფლება. პუტინის გზას დაადგაო, ეს გზა პუტინის გზაზე უარესია! 26 თებერვალს გაცილებით დიდი აქცია იქნება.

„ხელისუფლებას სხვა გზა არ დარჩენია. უნდა გამოუშვას მელია და დანიშნოს ვადამდელი არჩევნები“

„სააკაშვილის დანაშაულებზე ნიკა მელიამ პასუხი არ უნდა აგოს“

ანზორ აბრალავა: „პოლიტიკურ წინააღმდეგობებზე ძნელად დასაძლევია ფარული ეკონომიკური წინააღმდეგობები“

მარიამ მჭედლიშვილი

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერის, ნიკა მელიას დაკავებით სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა. ხელისუფლების ოპონენტები ჯერ კიდევ წინა დღეს აცხადებდნენ, რომ საქართველო მიემართება დიქტატურისკენ, საქართველო ხდება ბელარუსი. შექმნილ სიტუაციასა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს ანზორ აბრალავას, რომელსაც მიაჩნია, რომ ნიკა მელია სააკაშვილის ავანტიურული ქმედებების მსხვერპლია და მან სააკაშვილის დანაშაულებზე პასუხი არ უნდა აგოს.

– ნიკა მელიას დაკავების შემდეგ ოპოზიცია უფრო მკაფიოდ აფიქსირებს, რომ საქართველოში დიქტატურა მყარდება, საქართველო საბჭოთა კავშირში ბრუნდება და რომ ოპოზიციას ვერ გატეხენ. ოპოზიცია „ოცნების“ ხელისუფლების სწრაფ აღსასრულსაც პროგნოზირებს.

– იმას, რაც ჩამოთვალეთ, ოპოზიციისგან პირველად არ ვისმენთ. ამ ხელისუფლებისთვის დიქტატურა სხვა დროსაც უწოდებიათ. ახლა ძალიან დაჭიმულია ვითარება. რომელიმე ქვეყანაში დიქტატურაც რომ იყოს, განსხვავებული აზრი მაინც არსებობს. სამწუხაროა, რომ დღევანდელი ოპოზიცია ჩართულია სააკაშვილის პროექტში. ადამიანურად ნიკა მელია დამენანა. ნიკა მელიამ სააკაშვილის დანაშაულებზე პასუხი არ უნდა აგოს. ის გახდა სააკაშვილის ავანტიურული ქმედებების მსხვერპლი.

– იქნებ მსხვერპლი კი არა, გმირი გახდეს? პოლიტიკოსის დაკავება მისთვის ხელსაყრელია.

– არ ვიცი. მგონია, რომ ნიკა მელიას მომხრეები აუცილებლად დაუპირისპირდებიან სააკაშვილს.

– თუ აქამდე არ უპირისპირდებოდნენ, ახლა რატომ იზამენ ამას?

– იმიტომ, რომ ყველაფერს აქვს საზღვარი. სააკაშვილი თავისი პროვოკაციული განცხადებებით, მოქმედებებით, წარსულით, თავშეუკავებლობით, აღვირახსნილობით აავსებს იმ პოლიტიკოსების ფიალას, რომლებიც მასზე უკეთესები არიან. მათ მობეზრდებათ სააკაშვილის რუსულ პროექტებში მონაწილეობა. სააკაშვილი რომ დიდი ხანია რუსეთის საქმეს აკეთებს საქართველოსა და უკრაინაში, მგონი, არავისთვის სიახლე არ უნდა იყოს. ადრე თუ გვიან, მიხეილ სააკაშვილისა და ნიკა მელიას გზები გაიყრება. სააკაშვილი შეპყრობილია განდიდების მანიით, მოუთმენლობით და ყველაფერს და ყველას სწირავს თავის მანიაკალურ მისწრაფებებს.

– ნიკა მელიას თემა გახდა პრემიერის შეცვლის მიზეზი ან საბაბი.

– ხელისუფლებაში, საერთოდ პოლიტიკაში გადაადგილებები არც ისე იშვიათად ხდება. არ მიმდინარეობს სისტემის მოდერნიზება. ხალხი უყურებს ამ გადაადგილებებს, მაგრამ მისი მდგომარეობა არ იცვლება. ხალხის სოციალური მდგომარეობა ისევ მძიმეა.

– სოციალური მდგომარეობა უარესობისკენ იცვლება. საჯარო სექტორი შეიძლება ნორმალურად გრძნობდეს თავს, დანარჩენებმა კი ვინწვნიეთ კოვიდ-კრიზისისა და ეკონომიკური კრიზისისგან გამოწვეული საშინელება.

– გეთანხმებით. ბევრი მოქალაქე აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში. ეს ადამიანები მოთმინებით იტანენ ამ სიტუაციას. სოციალ-ეკონომიკური პრობლემები მსოფლიოს გაუჩნდა. ყველა სახელმწიფომ საკუთარ მოსახლეობას თვითონ უნდა უპატრონოს. ჩვენს მოსახლეობას ჩვენმა ხელისუფლებამ საზოგადოებასთან ერთად უნდა მიხედოს. ხალხის მდგომარეობა გასაუმჯობესებელია. მერე ვაქცინაც წამოგვეშველება. ასეთ დროს ზუსტი რეცეპტების დადება ძნელია. ერთი კი უდავოა – ასამოქმედებელია სახელმწიფო რეგულაციები. ხალხის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება მანამ, სანამ არ მოევლება მონოპოლიებს.

– ეკონომიკაში თანასწორი გარემო არ არსებობს?

– არ არსებობს. მოსაზრება იმაზე, თითქოს სახელმწიფო თავისუფალი ბაზრის საქმიანობაში არ უნდა ერეოდეს, მცდარი და მოძველებულია. წერტილი უნდა დაესვას მონოპოლიურ გარემოს და შეიქმნას კონკურენტული გარემო. სხვანაირად ეკონომიკა ვერ გაცოცხლდება.

– ირაკლი ღარიბაშვილის მეორედ გაპრემიერებამდე „ქართულ ოცნებაში“ დიდი უთანხმოება და ჯგუფებს შორის ბრძოლა მიმდინარეობდა. ახლა რას ელით ამ კუთხით?

– ყველაფერს დრო გამოაჩენს. ყველა ჯგუფი და ყველა პიროვნება ვერ აიღებს პასუხისმგებლობას პროცესებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ვინც ამას იკისრებს, ის იქნება უფრო გავლენიანი.

– ექსპერტები პოლიტიკური სპექტრის შეცვლაზე ალაპარაკდნენ.

– პოლიტიკური სპექტრის შეცვლა მარტივი არ არის. ჩემი აზრით, ამის შანსი იყო 2012 წელს. სამწუხაროდ, ის ხელიდან გაუშვეს.

– რას გულისხმობთ?

– ხელისუფლებას, რომელიც 2012 წელს მოვიდა ქვეყნის სათავეში, უნდა დაემყარებინა სამართლიანობა. უნდა დაესაჯა წინა რეჟიმის ყველა წარმომადგენელი, რომელსაც ჩადენილი აქვს უმძიმესი დანაშაულები. ეს რომ მომხდარიყო, პოლიტიკური ველი გადასხვაფერებული იქნებოდა.

– ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე ვარაუდობს, რომ ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებით გადამდგარი გიორგი გახარია შექმნის მესამე პოლიტიკურ ცენტრს. სხვა წყაროების ინფორმაციით, გახარია ჩამოაყალიბებს პარტიას იმ ხალხთან ერთად, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მიხეილ სააკაშვილს, მაგრამ არ შედის ნაცმოძრაობაში.

– თუ გიორგი გახარიას აქვს სურვილი, რატომ არ უნდა შექმნას პარტია?! მას ჰყავს მომხრეები, აქვს შარმი. „ქართული ოცნების“ შიგნით მას ზოგიერთ სხვა ლიდერზე მაღალი რეიტინგი დაუფიქსირდა. პოლიტიკაში გადაჯგუფებებიც ხდება. ნათქვამია, რომ აზრს არასოდეს არ იცვლიან მარტო იდიოტები და მიცვალებულები.

– პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება მოსალოდნელია?

– დიახ. სააკაშვილი ამისათვის ძალ-ღონეს არ ზოგავს. სააკაშვილი ხალხს უქმნის ილუზიას, თითქოს მთელი საერთაშორისო საზოგადოება მის გვერდითაა. თვითონ შორიდან იძლევა ბრძანებებს, სიტუაციას ურევს, ის ხალხი კი, ვისაც იყენებს, შეატოვა ამ ვითარებას. ხელისუფლება, თავის მხრივ, კანონის აღსრულებაზე უარს ვერ იტყვის. ამას ეწირებიან პოლიტიკოსები. სოციალური ფონი ურთულესია და არ ვიცით, სად წავა ხალხი პროტესტის შემთხვევაში, ვინ როგორ გამოიყენებს შესაძლო სოციალურ აფეთქებას.

– სოციალური აფეთქება რომ არ მოხდეს, ხელისუფლებამ ხალხის მდგომარეობა დროზე უნდა გააუმჯობესოს?

– რასაკვირველია. მონოპოლიებზე ვისაუბრე. ეს მარტო საქართველოს პრობლემა არაა. პოსტსაბჭოთა სივრცეში თითქმის ყველგან არის ეს პრობლემა და არ არის კონკურენტული გარემო ეკონომიკაში. ლამის მონათმფლობელობაა.

– ამიტომაც არის ასეთი სოციალური კონტრასტი?

– ცხადია. არის ქონების უთანაბრო განაწილება და დიფერენცირება. ამას უნდა მიხედვა. ეს არც ისეთი მარტივი საკითხია. პოლიტიკურ წინააღმდეგობებზე ძნელად დასაძლევია ფარული ეკონომიკური წინააღმდეგობები.

პროკურატურა: „პროკურორები ია დარჯანია და მიხეილ სადრაძე საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით გამოირჩევიან“

ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ეთერში გასული სიუჟეტი, სადაც ნიკანორ მელიას ბრალდების საქმის პროკურორების მიმართ გაჟღერდა აბსურდული ბრალდებები, საქართველოს პროკურატურის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტის მიმართ ნდობის შესუსტებას და მიზანმიმართულ დისკრედიტაციას ემსახურება, – ამის შესახებ საქართველოს პროკურატურის განცხადებაშია აღნიშნული.

როგორც გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა მიმართ წამოწყებული ცილისმწამებლური საინფორმაციო კამპანიის მცდელობა მათ საქმიანობას და მოვალეობის განხორციელებას ხელს ვერ შეუშლის.

„სიუჟეტის ავტორის მცდელობა პროკურორები მიკერძოებულ მხარედ წარმოეჩინა და ამ მიზნისთვის იმ სისხლის სამართლის საქმეების ჩამოთვლა, რომლებზეც ისინი სახელმწიფო ბრალდებას აწარმოებდნენ, პირდაპირი შეტევის და ზეწოლის მცდელობაა მათ საქმიანობაზე. ამავდროულად, ინფორმაციის ცალმხრივად გაშუქებით, ავტორები ცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. თვალსაჩინოებისთვის ხსენებული პროკურორების ვითომდა მიკერძოებულობის საჩვენებლად, სიუჟეტში ნახსენები ე.წ. „კორტების სპეცოპერაციის“ და „ციხის ბუნტის“ საქმეები განხილულ იქნა არა მხოლოდ საქართველოს სასამართლოების, არამედ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. კერძოდ, ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმესთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით, დადგინდა ზურაბ ვაზაგაშვილის სიცოცხლის უფლების როგორც არსებითი, ისე პროცედურული დარღვევა. ამავე სასამართლოს 2020 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით, ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე დადგინდა პატიმართა სიცოცხლის უფლების როგორც არსებითი, ისე პროცედურული დარღვევა.

რაც შეეხება სიუჟეტში პროკურორ ია დარჯანიას მიმართ გაჟღერებულ სრულიად უსაფუძვლო ბრალდებას მის რუსულ კავშირებთან დაკავშირებით, აღნიშნულის აბსურდულობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ სწორედ ია დარჯანია ახორციელებდა აქტიურ საპროცესო ზედამხედველობას 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ქართული მხარე სტრასბურგის სასამართლოს წინაშე ძლიერი სამართლებრივი არგუმენტებით და მყარი მტკიცებულებებით წარდგა. ხსენებული მტკიცებულებების შეგროვებისა და სახელმწიფო პოზიციების შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს პროკურატურამ, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქმის პროკურორ ია დარჯანიას, რისთვისაც საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ, მიმდინარე წლის იანვარში, მადლობა გამოეცხადა.

რაც შეეხება, რესტორან „ამრას“-თან დაკავშირებულ ბრალდებებს, 2018 წლის 1-ელ ივლისს, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში სრული მოცულობით ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება. შემოწმების ფარგლებში დეტალურად იქნა გამოკვლეული რესტორან „ამრას,“ საქმიანობაში პროკურორის რაიმე ფორმით მონაწილეობასთან დაკავშირებული გარემოებები. ახსნა-განმარტება ჩამოერთვა საკითხის ირგვლივ ინფორმაციის მქონე ათეულობით პირს, მათ შორის რესტორან „ამრას“ მოქმედ და ყოფილ თანამშრომლებს, რომელთაგან არც ერთმა არ დაადასტურა პროკურორის რაიმე კანონსაწინააღმდეგო და აკრძალული ფორმით მონაწილეობა, როგორც რესტორნის სამეწარმეო საქმიანობაში, ისე ხსენებული კომპანიის ბიზნეს-პარტნიორებს შორის არსებულ დავებში. სამსახურებრივი შემოწმების პროცესში გენერალური ინსპექციის მიერ გამოთხოვილი და დათვალიერებული იქნა რესტორან „ამრას“ შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მიერ განხორციელებული ვიდეო ჩანაწერები, რომელთა შესწავლით ასევე არ დადასტურდა პროკურორ დარჯანიას მიმართ გაჟღერებული განცხადებების რეალობა. ამდენად, გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად არ დადასტურდა პროკურატურის თანამშრომლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, რის გამოც 2018 წლის 28 სექტემბერს სამსახურებრივი შემოწმება შეწყდა.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ პროკურორები ია დარჯანია და მიხეილ სადრაძე არაერთი წელია მუშაობენ საქართველოს პროკურატურაში და საქმისადმი მაღალპროფესიონალური, კომპეტენტური და კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით გამოირჩევიან. შესაბამისად, ცრუ ინფორმაციის ტირაჟირება და დადანაშაულება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, არის მიზანმიმართული შეტევა პროკურორის საქმიანობაზე და წარმოადგენს პროკურორებზე ზეწოლის განხორციელების მცდელობას, რასაც საქართველოს პროკურატურა არ დაუშვებს და თითოეული თანამშრომლის პატივს და ღირსებას დაიცავს“ – აღნიშნულია გავრცელებულ განცხადებაში.

„ნიკანორ მელიას დაკავებისას პოლიციამ პროპორციული ძალა გამოიყენა“

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შსს-მ აღასრულა

გუშინ, 23 თებერვალს, ნიკა მელია დააკავეს.

სამართალდამცველებმა თბილისში, კახეთის გზატკეცილზე მდებარე „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შეკრებილი მოქალაქეები გააფრთხილეს, ხელი არ შეეშალათ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაში და ამისთვის გონივრული ვადა მისცეს მათ.

სამინისტროს მხრიდან ადგილზე გაკეთებული არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, პარტიის ოფისთან შეკრებილები არ დაემორჩილნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნას და სამართალდამცველებს გაუწიეს წინააღმდეგობა.

შესაბამისად, სასამართლოს მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის დაკისრებული მოვალეობის აღსრულებისას პოლიციამ გამოიყენა იძულების, კანონით გათვალისწინებული პროპორციული ძალა და სპეციალური საშუალებები.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ვასაჯაროებთ კახეთის გზატკეცილზე მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაღებულ ვიდეოკადრებს, თუ როგორ მიმართავს პოლიცია ნიკანორ მელიას, ასევე, იქ შეკრებილ მოქალაქეებს და აძლევს გონივრულ ვადას, დაემორჩილონ სამართალდამცველების მოთხოვნებს.

სამინისტროს მიერ ადგილზე გაკეთებული არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, პარტიის ოფისში და მიმდებარე ტერიტორიაზე შეკრებილები არ დაემორჩილნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნას და სამართალდამცველებს ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწიეს.

საპოლიციო ღონისძიების მსვლელობისას, სამართალდამცველებმა შეკრებილებს შენობიდან გასვლის შესაძლებლობა მისცეს და ამ მიზნით უსაფრთხო დერეფანი უზრუნველყვეს.

შეკრებილების ნაწილმა ისარგებლა აღნიშნული დერეფნით და დატოვა შენობა, ნაწილმა კი განაგრძო წინააღმდეგობა და ძალადობრივი ქმედებები, რისი ამსახველი კადრებიც საზოგადოებამ არაერთი ტელეკომპანიის პირდაპირ სატელევიზიო ეთერებში, ასევე, სოციალურ ქსელში გავრცელებულ სხვადასხვა ვიდეოში ნათლად იხილა.

სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, სადაც ასახულია, თუ როგორ ისვრის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი მყარ საგანს პოლიციის მიმართულებით, რა დროსაც დაზიანდა იქვე მყოფი მოქალაქის ფოტოტექნიკა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ძალადობისა და წინააღმდეგობის ამსახველ ყველა ფაქტს შეისწავლის და მათზე შესაბამის სამართლებრივ რეაგირებას მოახდენს.

მეუფე მელქისედეკი: „საფრთხე ექმნება საქართველოს ევროატლანტიკურ სწრაფვას“

საფრთხე ექმნება საქართველოს ისტორიულ მონაპოვარს – ევროატლანტიკურ სწრაფვას, რამაც შეიძლება ჩვენი ქვეყნის მომავალი რადიკალურად შეცვალოს.

ასე ეხმაურება მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი, მეუფე მელქისედეკი 23 თებერვალს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს.

მეუფე მელქისედეკი თხოვნით მიმართავს ყველას, რომ პოლიტიკური თუ სოციალური სტატუსის მიუხედავად, წინა პლანზე დააყენონ სახელმწიფოს ინტერესები.

„ქრისტესმიერ საყვარელო ძმანო და დანო, შეშფოთებული ვაკვირდები ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენებს. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ სიტუაცია იმაზე ბევრად კრიტიკულია, ვიდრე აქამდე წარმოგვედგინა და ამ ყველაფერმა კი შეიძლება ძალიან ბევრი რამე და ვინმე დააზიანოს.

გულდასმით გავეცანი უცხოელი ელჩების, ფასილიტატორების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ჩვენი ქვეყნის მეგობრების შეშფოთებულ განცხადებებს. საფრთხე ექმნება საქართველოს ისტორიულ მონაპოვარს – ევროატლანტიკურ სწრაფვას, რამაც შეიძლება ჩვენი ქვეყნის მომავალი რადიკალურად შეცვალოს. იმ გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რაც რეგიონშია, იმ ეკონომიკური თუ ეპიდემიური კრიზისის ფონზე, რაც მთელ მსოფლიოში მძვინვარებს, საქართველოში მოქალაქეების, ჩვენი სისხლისა და ხორცის ურთიერთგახლეჩვა და პოლარიზება, არავის ინტერესებში არ შეიძლება შედიოდეს, გარდა ჩვენი ქვეყნისა და სახელმწიფოებრიობის მტრებისა.

გთხოვთ ყველას, რომ მოვუხმოთ გონებას, ჩვენი პოლიტიკური თუ სოციალური სტატუსის მიუხედავად, წინა პლანზე დავაყენოთ სახელმწიფოს ინტერესები და მის დასაცავად ყველაფერი გვერდზე გადავდოთ. ჩემი ახალგაზრდობის პერიოდი ავადსახსენებელ 90-იანებს დაემთხვა.

დღემდე თვალებიდან არ ამომდის ის საშინელი შედეგი, რაც საზოგადოების პოლარიზებამ საქართველოს მოუტანა. მჯერა, რომ ასეთი რამ საქართველოში აღარასდროს განმეორდება და ყოვლადმოწყალე უფალი დაგვიფარავს ამგვარი განსაცდელებისგან.

ქრისტესმიერ საყვარელო ძმანო და დანო, ყველას უმორჩილესად გთხოვთ, ვილოცოთ, ვიყოთ მშვიდად, ჩვენი ძალები

გაერთიანებისაკენ მივმართოთ და არა პოლარიზებისკენ, გულში ჩავიკრათ ერთმანეთი და არ მივცეთ მტერს უფლება, რომ ჩვენი დაპირისპირებით გაიხაროს. თქვენთვის მლოცველი, მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მელქისედეკი (ხაჩიძე)“ – წერს მეუფე მელქისედეკი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

ნოდარ რუხაძე 2.000 ლარით დაჯარიმეს



სამოქალაქო აქტივისტი და „მთავარი არხის“ ჟურნალისტი ნოდარ რუხაძე სასამართლომ 2 ათასი ლარით დააჯარიმა და გაათავისუფლა.

რუხაძე გუშინ, 23 თებერვალს, პარლამენტის შენობასთან დააკავეს. რუხაძე რუპორით ხელში „ოცნების“ მთავრობას მიმართავდა, როდესაც პოლიციამ მას ტერიტორიის დატოვება მოსთხოვა.

ამის შემდეგ ის დააკავეს.

შსს-ს კომპიუტერულ ტექნიკაზე კიბერშეტევა განხორციელდა

23 თებერვალს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპიუტერულ ინფრასტრუქტურაზე სხვადასხვა ქვეყნიდან კიბერშეტევა განხორციელდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა დანაყოფმა, ოპერატიული მოქმედებების შედეგად, შეტევა აღკვეთა.

გამოძიება კომპიუტერული მონაცემის ანდა კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენებისა და ხელყოფის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 285-ე და 286-ე მუხლებით მიმდინარეობს.

თბილისში წერეთელზე 3 ადამიანი დაიღუპა

2 მანქანა ერთმანეთს შეასკდა

22 თებერვალს, ღამით ავარია მოხდა თბილისში.

წერეთლის გამზირზე 2 ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა, რის შედეგადაც 3 ადამიანი ადგილზე დაიღუპა. შემთხვევა კომენდანტის საათის დროს მოხდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მერვე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც 2 ან ორზე მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ირანის უზენაესი ლიდერი: „ურანის გამდიდრებას გავზრდით“



ირანის უზენაესი ლიდერის აიათოლა ალი ხამენეის განცხადებით, ირანმა ურანი, შესაძლოა, 60%-მდე გაამდიდროს, თუ ეს ქვეყანას დასჭირდება.

– ირანის ურანის გამდიდრების დონე 20%-ით არ შემოიფარგლება. ჩვენ მას იმ დონემდე გავზრდით, სადამდეც ქვეყანას დასჭირდება. შესაძლოა, 60%-მდე, – განაცხადა ხამენეიმ.

მისივე თქმით, ირანი ბირთვულ საქმიანობასთან დაკავშირებით აშშ-ის ზეწოლას არასდროს დაემორჩილება.

– ამერიკელებმა და ხელშეკრულების ევროპელმა მონაწილეებმა ირანის წინააღმდეგ უსამართლო ენა გამოიყენეს. ირანი ზეწოლას არ დაემორჩილება. ჩვენი პოზიცია არ შეიცვლება, – აღნიშნა ხამენეიმ.

მისი მტკიცებით, ირანის მიზანს ურანის გამდიდრების იარაღის წარმოებაში გამოყენება არ წარმოადგენს.

– იმ საერთაშორისო სიონისტმა ჯამბაზმა (ბენიამინ ნეთანიაჰუმ) თქვა, რომ ირანს ბირთვული იარაღის წარმოების ნებართვას არ მისცემენ. უპირველეს ყოვლისა, ასეთი განზრახვა რომ გვქონოდა, მასზე უფრო ძლიერიც კი ვერ შეგვაჩერებდა, – აღნიშნა ხამენეიმ.

ბირთვული შეთანხმება ირანსა და ექვს ქვეყანას შორის (გაერთიანებული სამეფო, გერმანია, ჩინეთი, რუსეთი, აშშ და საფრანგეთი) 2015 წელს გაფორმდა. 2018 წელს აშშ-მა ხელშეკრულება დატოვა და ირანის წინააღმდეგ სანქციები განაახლა. ამ ნაბიჯის საპასუხოდ თეირანმა ბირთვული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ეტაპობრივი შემცირება დაიწყო.

გასული წლის დეკემბერში ირანის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც მთავრობას ავალდებულებს, ურანის 20%-მდე გამდიდრება განაახლოს და ასევე შეაჩეროს გაეროს მიერ ბირთვული ობიექტების შემოწმება იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყნის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები არ შემსუბუქდება.

2015 წელს გაფორმებული ბირთვული შეთანხმების მიხედვით, ურანის გამდიდრების ზედა ზღვარი 3.67%-ია. გამდიდრებული ურანის გამოყენება შესაძლებელია ატომური იარაღის წარმოებაში. იარაღისთვის გამოსადეგად 90 პროცენტამდე გამდიდრებული ურანი მიიჩნევა.

ლუკაშენკო პუტინს თანამედროვე იარაღს სთხოვს

სამთო კურორტ კრასნაია პოლიანაში, სოჭის მახლობლად, პუტინ-ლუკაშენკოს შეხვედრა შედგა.

მასზე პრობლემების ფართო სპექტრი იქნა განხილული.

ექსპერტები პუტინისაგან ე.წ. ახალი ინტეგრაციული ინიციატივების წამოყენებას მოელოდნენ. ინფორმაცია ამის თაობაზე არ არის.

ლუკაშენკომ პუტინისაგან თანამედროვე იარაღის მიწოდება მოითხოვა. ბელარუსი ლიდერის მტკიცებით, რადგან ბელარუსი ნატოს წევრ ლიტვას ესაზღვრება, ნატოს მხრიდან აგრესია ემუქრება. საიმისოდ, რომ ის მოიგერიოს, თანამედროვე იარაღი ესაჭიროება.

პუტინმა იარაღის მიწოდებაზე უარი უთხრა.

–– სანამ ბელარუსი რუსეთის მოკავშირეა, ჩვენ ყოველგვარი აგრესიისგან დაგიცავთ, – განაცხადა პუტინმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჰარი პრინცად და ჰერცოგად დარჩება

დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II არ აპირებს თავისი შვილიშვილის ჰარისთვის „პრინცის“ ტიტულის ჩამორთმევას.

– ის დაიბადა პრინც ჰარიდ და ყოველთვის იქნება პრინცი ჰარი, – განმარტა ჟურნალისტებთან საუბარში ბუკინჰემის სასახლის წარმომადგენელმა. გარდა ამისა, ჰარი და მისი მეუღლე მეგან მარკლი კვლავაც რჩებიან სასექსის ჰერცოგად და ჰერცოგინიად. ეს ტიტულები მათთვის საქორწინო საჩუქარს წარმოადგენდა.

ფორმალურად ჰარი და მეგანი „მათ სამეფო უდიდებულესობად“ რჩებიან. თუმცა, ისევე, როგორც აქამდე, მათ ამ ტიტულებით სარგებლობის უფლება არ ექნებათ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ასეთი შეთანხმება 2020 წლის იანვარში დედოფალთან გამართულ მოლაპარაკებებზე იქნა მიღწეული.

94 წლის მილიონერმა ქონების გამფლანგველი შვილიშვილები დასაჯა

აშშ-ში 94 წლის მილიონერმა ქალმა ბევერლი შოტენსტაინმა დასაჯა საკუთარი შვილიშვილები, რომლებიც წლების განმავლობაში მის ქონებას ფლანგავდნენ.

ხანშიშესულმა ქალმა 15 წლის წინ საკუთარ ფინანსებზე ზრუნვა შვილიშვილებს ევანსა და აზის დაავალა, რომლებიც ამჟამად შესაბამისად 39 და 33 წლის არიან. მათ სამართავად ბებიის ქონებიდან 80 მილიონი დოლარი ჰქონდათ ჩაბარებული. მათი მაქინაციები ბევერლის იურისტებმა გამოავლინეს. მათ გაარკვიეს, რომ შვილიშვილები ბებიის სახელით სარისკო გარიგებებს ახორციელებდნენ და ფულს რთულ ფინანსურ ინსტრუმენტებში აბანდებდნენ.

ასევე ევანმა და აზიმ განახორციელეს სხვადასხვა ოპერაცია, რომლებიც მათი ბებიის თანხმობას მოითხოვდა მაქსიმალური საკომისიოს მიღების მიზნით. ასევე ქალის შვილიშვილებს ბრალად ედებათ ბებიის საკრედიტო ბარათიდან მილიონი დოლარის გაფლანგვა და მინიმუმ ერთი ფინანსური საბუთის გაყალბება.

ქალი ერთი წლის განმავლობაში აწარმოებდა დღიურს, რომელშიც მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობებს იწერდა. როდესაც მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა, ბევერლმ საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა.

საბოლოოდ საარბიტრაჟო სასამართლომ ქალის შვილიშვილებსა და ბანკს ბებიისთვის, საერთო ჯამში, მიყენებული ზარალისა და იურიდიული მომსახურების კომპენსაციისთვის 19 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ქეთევან ქემოკლიძეს გოგონა შეეძინა

ცნობილ ქართველ ოპერის მომღერალს ქეთევან ქემოკლიძეს გოგონა შეეძინა.

მეცო სოპრანომ პატარა ანა გააჩინა და თავს კარგად გრძნობს.

საოპერო მომღერლის ორსულობის შესახებ მის მიერ გავრცელებული ფოტოებიდან გახდა ცნობილი.

ქეთევან ქემოკლიძემ პატარა ანასთან გადაღებული ფოტო სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა, თუმცა ტრადიცია არც მან დაარღვია და პატარას სახე არ გაასაჯაროვა.

ეკატერინე ანდრონიკაშვილი: „ქვეყანას როდის მივხედოთ?“

მსახიობი ეკატერინე ანდრონიკაშვილი საქართველოში პროცესების განვითარების ერთი და იგივე სცენარით დაიღალა:

– უკვე მერამდენედ იგივე სცენარი. გადახედეთ უახლეს ისტორიას. ოპოზიცია ეპატაჟურად „იჩალიჩებს“ დაჭერას, ამას მოყვება არეულობა, პროტესტი, და ხდება ის, რაც გათვლილი იყო. ჩვენს შემთხვევაში, ორივე მხარის შეთანხმებით და სიამ-ტკბილობით ახალი სცენარის ღირსებიც რომ არ გაგვხადეს და, რა თქმა უნდა, სამწუხაროდ, ქართველი ერი ისევ ებმევა შფოთში, ისევ ბობოქრობს სოცქსელი, ოჯახები იყოფა, მეზობლები ჩხუბობენ, მეგობრები ერთმანეთს შლიან.

როგორ არ მოგბეზრდათ და როგორ ისევ მზად ხართ იგივე წრეებზე სიარულისთვის და რაც ამჟამინდელ სიტუაციას ახასიათებს – კიდევ ერთი საბაბი, რომ ისევ ჩაგვკეტონ-გაზაფხულზეც. ქვეყანას როდის მივხედოთ?

საბა საფარელი საცხოვრებლად ქუთაისში გადადის

ქუჩის მუსიკოსი საბა საფარელი საცხოვრებლად ქუთაისში გადადის და დედაქალაქს 10 თვით ემშვიდობება:

– დედაქალაქში წარმატებული სამწლიანი ცხოვრების მერე ჩემი შემდეგი გაჩერება ქუთაისია, ქალაქი, რომელიც ქუთაისელმა ადამიანებმა უზომოდ შემაყვარეს.

ქუთაისის შემდეგ საცხოვრებლად ბათუმში გადავალ და იქამდე ვივლი, ვიდრე ამის სურვილი მექნება. ჩემთვის ნამდვილი ცხოვრება ასეთია.

ერთ სამსახურში, ერთ ქალაქში, ერთ სახლში ცხოვრებას სიბერის ჟამს როგორმე შევეგუები. ერთ ადგილზე სამუდამო ცხოვრება ჩემთვის საფლავში ყოფნას ჰგავს.

დასასრულს, ქუთაისელებთან მექნება დიდი თხოვნა, მომეხმარონ სახლის მოძებნაში, სადაც მინიმუმ 10 თვე ვიცხოვრებ. მჭირდება მინიმუმ ორი ოთახი, რადგან სხვა შემთხვევაში სამოსს ვერსად დავტევ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მწერებმა ფერმერს გადანახული ნახევარი მილიონი შეუჭამეს

ინდოეთის ანდხრა-პრადეშის შტატის ქალაქ მაილავარამში ტერმიტებმა ნახევარი მილიონი რუპია შეუჭამეს ფერმერს.

52 წლის ღორების ფერმის მფლობელი ბიჯილი ჯამალაია ფულს ძველ რკინის სკივრში ინახავდა. მან 500 ათასი რუპიის გადადება მოახერხა, რომელიც სახლის ასაშენებლად უნდა გამოეყენებინა.

ჯამალაიამ ტერმიტები იმ დროს აღმოაჩინა, როდესაც მას ფული მიმდინარე ხარჯების დასაფარავად დასჭირდა. მან სკივრს თავსახური ახადა და დაინახა, რომ შიგნით მწერებს შეეღწიათ. მათ კუპიურების შეკვრებში დიდი ხვრელები გაეკეთებინათ და გამოსაყენებლად გამოუსადეგარი გაეხადათ.

არც ფერმერს და არც მისი ოჯახის სხვა წევრებს ბანკში ანგარიში არ ჰქონდათ გახსნილი, ამიტომ ისინი მხოლოდ ნაღდი ფულით სარგებლობდნენ. ჯამალაიამ პოლიციას მიმართა და მოუყვა, რომ ტერმიტებმა მთელი ფული გაუნადგურეს. მას დახმარება აღუთქვეს.

მამაკაცი მანქანაში ბენზინის გათავებამ მილიონერად აქცია

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის დასახლება დენვერის მკვიდრი ავტომობილში საწვავის გათავების წყალობით 10 მილიონი დოლარით გამდიდრდა. ალენ ბოგერი იმ მაღაზიაში მიდიოდა, სადაც ჩვეულებრივ ლატარიის ბილეთებს ყიდულობდა. ის იქ 20 დოლარის მომენტალური ლატარიის ბილეთების შეძენას აპირებდა.

გზაში მის ავტომობილს საწვავი გამოელია და ამის გამო იძულებული გახდა, ავტოგასამართ სადგურზე შეევლო. ავტომობილში საწვავის ჩასხმის დროს ალენმა გადაწყვიტა, იქვე შეეძინა ლატარიის ბილეთები. ვინაიდან იქ 20-დოლარიანი ბილეთები არ აღმოაჩნდათ, მან გადაწყვიტა, 30-დოლარიანი ბილეთი შეეძინა.

შედეგად ბოგერმა 10 მილიონი დოლარი მოიგო, თუმცა ის ამ მოგებას არ გაუკვირვებია.

– ყოველთვის იღბლიანი ვიყავი, – ხაზგასმით აღნიშნა ამერიკელმა, რომელიც მოგებული თანხით ვალების გასტუმრებასა და პენსიაზე გასვლას აპირებს.

კატამ სახლი აფეთქებისგან იხსნა

კატამ ამერიკის ორეგონის შტატის ლეიკოსვეგოდან ოჯახი საყოფაცხოვრებო გაზის აფეთქებისგან იხსნა.

შინაური ცხოველის პატრონი ქალი სენდი მარტინი სახლში კატას, სახელად ლილიეს ეთამაშებოდა, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ წამოიყვანა ცხოველთა თავშესაფრიდან. მოულოდნელად კატამ გაზის გამათბობლის საკეტს დაუწყო ყნოსვა. მისი ასეთი ქცევა ქალს უცნაურად მოეჩვენა.

– მასთან ახლოს მივედი, საკეტს დავყნოსე და გაზის სუნი ვიგრძენი. ის ძალიან სუსტი იყო, ამიტომ თავიდან ვერ მივხვდი და ვიფიქრე, რომ მომეჩვენა. შემდეგ ქმარს ვთხოვე, თავადაც ეყნოსა და გაზის სუნი მანაც იგრძნო, – განაცხადა სენდი მარტინმა.

წყვილმა გაზის კომპანიაში დარეკა. მათ ჟრჩიეს, ოთახში ყველაფერი გამოერთოთ, მათ შორის მობილური ტელეფონებიც, ასევე გაეღოთ ყველა კარი და ფანჯარა.

20 წუთში კომპანიის წარმომადგენელი ადგილზე მივიდა და გაზის სახიფათო გაჟონვის ფაქტი დაადასტურა.

– მან სახლში გაზის ყველა ხელსაწყო შეამოწმა, გამოვიდა გარეთ, გადაკეტა გაზის მილი და გათიშა გამათბობელი. კატამ გადაგვარჩინა, – ხაზგასმით აღნიშნა ქალმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებითა და შედეგების სრული გარანტიით გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას – ფოტოსურათით მოგიხსნით: ჯადოთვალი-წყევლის ზემოქმედებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებას, დეპრესიას, შებოჭილობას, ეჭვიანობას, მოზარდებში პრობლემებს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ძილში შფოთს, გაუმართლებლობას, ოჯახურ გაუგებრობას, ოჯახის შესაქმნელად გაგიხსნით ბედს, ჩაკეტილ მამაკაცობას, სექსუალური კონტაქტის შიშსა და სხვა პრობლემებს. მის.: წერეთლის გამზირი №57. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი-პარაფსიქოლოგი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

ვილი სანიოლი: „უკვე ვიცი, როგორ უნდა ვიმუშავო“

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად ვილი სანიოლი 15 თებერვალს დაინიშნა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ასევე 2 წლის გახანგრძლივების შესაძლებლობით.

43 წლის ფრანგ მწვრთნელს საქართველოს ნაკრებში პირველი მატჩი ერთ თვეში, 25 მარტს, სტუმრად შვედეთის ნაკრებთან ელოდება. გარდა ამისა, მარტში საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლის ეგიდით კიდევ 2 მატჩს ჩაატარებს – შვედეთის გარდა, ესპანეთსა (შინ) და საბერძნეთს შეხვედება (სტუმრად).

სანიოლს 2017 წლის შემდეგ მწვრთნელად არ უმუშავია. ამის მიზეზზე სანიოლმა ინტერვიუში ვრცლად ისაუბრა.

შეგახსენებთ, რომ სანიოლი თბილისში იმყოფება, საქართველოს სუპერთასის მატჩსაც დაესწრო, ხოლო ინტერვიუ ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

სანიოლის თქმით, პაუზა ოჯახური პრობლემის გამო ჰქონდა აღებული, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა და თავის საქმიანობაზე სრულად კონცენტრირება შეუძლია.

ვილი სანიოლი:

– როდესაც სამწვრთნელო კარიერას ირჩევ, იცი, რომ რთულ გზას ადგები – მუდმივად გიწევს მოგზაურობა და სხვადასხვა ადგილზე გადასვლა საცხოვრებლად. სფფ-ის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი თვითონაც ყოფილი მოთამაშეები არიან, ჩვენ ერთ ენაზე ვსაუბრობთ. ამ შემოთავაზებას მე სწორედ იმიტომ დავთანხმდი, რომ მათ მარტივად ამიხსნეს საკუთარი მოლოდინები და შესაძლებლობები. ფეხბურთი მარტივ თამაშად რჩება. იმ გარემომ, რომელიც ჩვენი მოლაპარაკებების დროს შეიქმნა, მე დამარწმუნა ამ ნაბიჯის გადადგმაში. მე ვიცი, რომ აქ საქმე მელოდება და მიზანს უნდა მივაღწიო.

ბაიერნში მუშაობის შემდეგ კარიერაში ორწლიანი პაუზა ავიღე. დეტალებს ახლა არ გავაჟღერებ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ოჯახური მიზეზების გამო მივიღე, რომელიც ჯანმრთელობას უკავშირდება. მამისთვის მთავარი პრიორიტეტი შვილებია. ეს 2 წელი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ახლა სიტუაცია გამოსწორა და სრულად შემიძლია ყურადღება ახალ პროექტს დავუთმო. მთავარი მწვრთნელის რანგში შეუძლებელია ყურადღება მხოლოდ 80 ან 70%-ით დაუთმო საკუთარ საქმეს. ახლა ფოკუსირებული ვარ საქართველოში ჩემს მისიაზე და იმედი მაქვს, ყველა ერთად მივაღწევთ წარმატებას.

საქართველოს ნაკრებში ჩამომსვლელ მწვრთნელს გარკვეული მონახაზი უნდა ჰქონდეს. უნდა ხედავდეს პოტენციალსაც. როგორც სანიოლი ამბობს, საქართველოს ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები ჰყავს და მათთან მუშაობას მოუთმენლად ელოდება.

– ადრეც მითანამშრომლია ქვეყნის ფედერაციასთან, საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების სახით. მე კომფორტულად ვგრძნობ თავს ისეთ გარემოში, სადაც საშუალო და გრძელვადიან გეგმებზე მიწევს მუშაობა. ჩვენ აქ უნდა დავიწყოთ შენების პროცესი და გამართულად უნდა განვახორციელოთ ის. მე ეს უკვე გაკეთებული მაქვს საფრანგეთის ნაკრების ტექნიკური დირექტორის როლში. რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ მსოფლიო ჩემპიონებიც გავხდით. მე ძალიან ვამაყობ ამ მიღწევებით და მიმაჩნია, რომ მაშინ ყველაფერი სწორად გავაკეთეთ. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა წარმატებას მიაღწიეს, კარგ კლუბებში მოხვდნენ, ბოლოს კი მსოფლიო ჩემპიონატი მოიგეს. აქ სიტუაცია სხვანაირია, თუმცა იმედი მაქვს, რომ აქაც საამაყო შედეგი მექნება და წარმატებას მივაღწევ ფეხბურთელებსა და ფედერაციასთან ერთად. ახლა ეს არის ჩემი მიზანი.

კარგად მახსოვს ლევან კობიაშვილი. ის მარცხენა ფლანგზე თამაშობდა, მე კი – მარჯვნივ, და ჩვენი გზები ყოველთვის იკვეთებოდა. როგორც მოთამაშე, ის ერთდროულად ხისტი და სამართლიანი იყო. იგივე შემიძლია ვთქვა ალექსანდრე იაშვილზე. კარგია, როდესაც 10, 12 ან 15 წლის შემდეგ კვლავ ვხვდებით ერთმანეთს, ახლა უკვე თანამშრომლობის ფარგლებში. ჩვენ ერთ სამყაროს მივეკუთვნებით და ერთ ენაზე ვსაუბრობთ – ეს არის ფეხბურთის ენა.

ბევრი საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გყავთ, სამწუხაროდ, პანდემიის შედეგად ყველაფერი შეიცვალა და ჩამოსვლას ყოველთვის ვერ ახერხებენ. მოგზაურობა, ვარჯში, თამაში გართულდა. ბოლო წელი რთული იყო, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის. როდესაც 17-18 წლის ხარ და კარიერას იწყებ, ოცნებობ სავსე სტადიონზე, ბევრ გულშემატკივარზე, ბევრ რამეზე ოცნებობ, ახლა კი ყველაფერი სხვანაირადაა. თუმცა, ეს გამოცდილება ახალგაზრდებს გააძლიერებს. ყოველთვის მიხარია ახალგაზრდებთან მუშაობა, რომელთაც სურთ წარმატებას მიაღწიონ და საკუთარი შესაძლებლობები აჩვენონ როგორც მწვრთნელს, ისე მთელ ქვეყანას. ველი მათთან მუშაობას.

სანიოლის საუბრიდან ისიც ირკვევა, რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დისციპლინა, რომლის გარეშე წარმატების მიღწევა და რაღაცის დადებითად შეცვლა წარმოუდგენელია.

– თანამედროვე ფეხბურთში რიტმი მნიშვნელოვანია. თუმცა, პირველ თამაშამდე ჯერ კიდევ არის დრო. მე აქ ჩამოვედი იმისთვის, რომ შევხვდე ხალხს და ჩვენი 10-დღიანი შეკრებები დავგეგმო. ჩემთვის მნიშვნელოვანია შევიგრძნო აქაური გარემო და კულტურა, გავიცნო ჩემი პერსონალი. ნაკრებში ჩვენ მთელი წლის განმავლობაში არ გვიწევს ერთად მუშაობა და ეს 10-დღიანი პერიოდები ინტენსიურად ჩაივლის. მზად უნდა ვიყოთ, ყველაფერი წინასწარ დავგეგმოთ.

დისციპლინა ძალიან მნიშვნელოვანია, მის გარეშე ვერაფერს შეცვლი. ფეხბურთელებს ნაკრებში თამაში უნდა ეამაყებოდეთ და მათ პატივი უნდა სცენ საქართველოს ნაკრების მაისურს. თუ ყველას ერთი მიზანი გვექნება, ვფიქრობ, რომ შევძლებთ წარმატების მიღწევას. არსებობს პოტენციალი და სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც აქ ჩამოვედი. თუმცა, ჩვენ ეს პოტენციალი უნდა გავზარდოთ. ფეხბურთში ყველაფერი მონდომებაზეა დამოკიდებული, 99%-ით დახარჯვა არ არის საკმარისი, 100%-ს კი, როგორც წესი, კარგი შედეგი მოაქვს.

თუმცა, სანიოლს რთული მისია აკისრია. საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ესპანეთთან, შვედეთთან, საბერძნეთთან და კოსოვოსთან ერთად თამაში მოუწევს. სანიოლმა მეტოქეების შესახებაც ილაპარაკა და აღნიშნა, რომ რისკზე წასვლა აუცილებელი წინაპირობაა წარმატების მისაღწევად:

– რა თქმა უნდა, ესპანეთი უკვე დიდი ხანია მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. შვედეთი ყოველთვის მონაწილეობს დიდ ტურნირებში, ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავთ. საბერძნეთი ევროპის ჩემპიონია, მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდი ხნის წინ მოხდა. კოსოვოს კი ახალგაზრდული და საინტერესო გუნდი ჰყავს.

ეს ძალიან რთული ჯგუფია, მაგრამ 6-დღიანი ფანჯრები გარკვეულ ბალანსს შემოიტანს ჯგუფში. ასეთ პირობებში დიდ გუნდებსაც პრობლემები შეექმნებათ. 15-20 წლის წინ უფრო ძლიერი გუნდი, როგორც წესი, თამაშს იგებდა, არსებულ პირობებში კი ყველაფერი სხვანაირადაა. მთავარი მოლოდინი ის უნდა იყოს, რომ გუნდმა თამაშიდან თამაშამდე მოუმატოს, რაც სწორ მიმართულებას მოგვცემს. წნეხის გარეშე უნდა ვითამაშოთ, მაქსიმუმი გავაკეთოთ და რისკზე წავიდეთ. თანამედროვე ფეხბურთში რისკის გარეშე ვერაფერს მიაღწევ. ამიტომ არის მნიშვნელოვანი რისკი და მისი ანალიზი.

წიტაიშვილი საქართველოს პასპორტს ჩაიბარებს

უკრაინულ მედიაში გავრცელებული ცნობით, კიევის დინამოს 20 წლის ნახევარმცველმა გიორგი წიტაიშვილმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და ამიერიდან საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ითამაშებს. ამ ინფორმაციას ჟურნალისტი იგორ ციგანიკზე დაყრდნობით ავრცელებს.

იგორ ციგანიკი:

– უკრაინული ფეხბურთის ქომაგებისთვის არცთუ კარგი ამბავი მაქვს. გიორგი წიტაიშვილმა გადაწყვიტა საქართველოს მოქალაქეობა მიიღოს და მომავალში ამ ქვეყნის ნაკრების მაისურით ითამაშოს. ასეთია თავად ფეხბურთელის პოზიცია. რამდენიმე თვის წინ გიორგის ბაბუა გარდაეცვალა, რომელიც მას ძალიან უყვარდა. როდესაც ის გასვენებაში ჩავიდა, ნათესავებმა ბაბუის სურვილი გადასცეს, რომ მას საქართველოს ნაკრებში ეთამაშა. სწორედ ამიტომ, ის მზადაა ეს ნაბიჯი გადადგას.

აქ ერთი პატარა შეცდომაა: გიორგი ბაბუის გასვენებაში კოვიდ-რეგულაციების გამო ვერ ჩამოვიდა. თუმცა, გამორიცხული არ არის, ბაბუის დანაბარები მისთვის მშობლებს გადაეცათ – კომუნიკაცია ნამდვილად ექნებოდათ.

ამ თემასთან დაკავშირებით უკრაინულ მედიაში კომენტარი თავად წიტაიშვილმაც გააკეთა. მართალია, არაფერი დაუდასტურებია, მაგრამ არც ინფორმაცია უარყვია.

გიორგი წიტაიშვილი:

– ჯერჯერობით, არ შემიძლია და არც უფლება მაქვს ამ თემაზე ვისაუბრო. როდესაც მეტი კონკრეტიკა გვექნება, ყველაფერი ცხადი გახდება.

გეტყვით რომ, გიორგის მამაც, კლიმენტი წიტაიშვილი საქართველოს ნაკრების, ზუგდიდის ოდიშის, თბილისის შევარდენისა და თბილისის დინამოს თავდამსხმელი იყო. უფროსი წიტაიშვილის კარიერა კვიპროსზე თემურ ქეცბაიასთან გაგრძელდა ფამაგუსტის ანორთოსისში.

თავად გიორგი კვიპროსში ქართველების წრეში იზრდებოდა. იმ დროს ანორთოსისში გიორგი ქინქლაძე თამაშობდა და მისი დიდი გულშემატკივარიც იყო.

ამჟამად წიტაიშვილი პოლტავის ვორსკლაშია განათხოვრებული. წასვლა თავად ითხოვა, რათა მეტი სათამაშო პრაქტიკა ჰქონოდა. ახლახან კიეველებმა მასთან კონტრაქტი 2025 წლამდე გაახანგრძლივეს. წიტაიშვილმა მიმდინარე სეზონში კიევის დინამოს მაისურით უკრაინის ჩემპიონატში მხოლოდ 4-ჯერ ითამაშა, ვორსკლაში კი, თებერვლის დასაწყისში გაანათხოვრეს და იქაურ პრემიერლიგაში ერთი მატჩის ჩატარება მოასწრო.

წიტაიშვილი უკრაინის 20 წლამდე ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ფინალში გოლიც გაიტანა. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელია.

წიტაიშვილი არ არის ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც წელს საქართველოს პასპორტს მიიღებს. როგორც ირკვევა, თითქმის დასრულებულია საუბარი გიორგი მიქაუტაძესთან, რომელიც ბელგიური სერენის ღირსებას იცავს და გუნდის მთავარი ბომბარდირია.

დიდი ალბათობით, წელს სხვა საქართველოს ნაკრებს ვიხილავთ...

შედეგები

22 თებერვალი
ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონშიპი

ბრაიტონი-კრ.პალასი 1:2

სატუნირო ცხრილი:

1.სიტი	25	18	5	2	50-15	59
2.მანჩესტერი	25	14	7	4	53-32	49
3.ლესტერი	25	15	4	6	44-27	49
4.ვესტ ჰემი	25	13	6	6	39-29	45
5.ჩელსი	25	12	7	6	41-25	43
6.ლივერპული	25	11	7	7	45-34	40
7.ევერტონი	24	12	4	8	37-33	40
8.ასტონ ვილა	23	11	3	9	37-26	36
9.ტოტენჰემი	24	10	6	8	37-27	36
10.არსენალი	25	10	4	11	31-26	34
11.ვულვზი	25	9	6	10	26-32	33
12.ლიდსი	24	10	2	12	40-43	32
13.კრ.პალასი	25	9	5	11	29-43	32
14.საუთჰემპტონი	24	8	6	10	31-40	30
15.ბარნლი	25	7	7	11	18-30	28
16.ბრაიტონი	24	5	11	8	25-30	26
17.ნიუკასლი	25	7	4	14	26-43	25
18.ფულემი	25	4	10	11	21-32	22
19.ვესტ ბრომვიჩი	25	2	8	15	19-55	14
20.შეფილდი	25	3	2	20	15-41	11

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ფიურტი-კილი 2:1

ესპანეთი. ჩემპიონატი

დივიზიონი

ოსასუნა-სევილია 0:2

სატუნირო ცხრილი:

1.ატლეტიკო	23	17	4	2	45-16	55
2.რეალი	24	16	4	4	42-19	52
4.სევილია	23	15	3	5	34-16	48
3.ბარსელონა	23	14	5	4	50-22	47
5.სოსიედადი	24	11	8	5	41-20	41
6.ვილიარეალი	24	8	13	3	33-25	37
7.ბეტისი	24	11	3	10	32-38	36
8.ლევანტე	24	7	10	7	34-33	31
9.გრანადა	24	8	6	10	29-41	30
10.ბილბაო	23	8	5	10	33-27	29
11.სელტა	24	7	8	9	29-36	29
12.ვალენსია	24	6	9	9	30-32	27
13.ოსასუნა	24	6	7	11	22-33	25
14.კადისი	24	6	7	11	21-40	25
15.ხეტაფე	24	6	6	12	17-30	24
16.ალავესი	24	5	7	12	20-38	22
17.ელჩე	22	4	9	9	20-31	21
18.ეიბარი	24	4	9	11	19-27	21
19.ვალიადოლიდი	24	4	9	11	22-35	21
20.უესკა	24	3	10	11	21-35	19

ესპანეთი. სეგუნდა

დივიზიონი

ფუენლაბრადა-ოვიედო 2:2
სარაგოსა-ალკორკონი 0:1

იტალია. სერია ა

იუვენტუსი-კროტონე 3:0

სატუნირო ცხრილი:

1.ინტერი	23	16	5	2	57-24	53
2.მილანი	23	15	4	4	45-28	49
3.იუვენტუსი	22	13	6	3	44-19	45
4.ლაციო	23	13	4	6	38-30	43
5.რომა	23	13	5	5	47-35	44
6.ატალანტა	23	12	7	4	53-31	43
7.ნაპოლი	22	13	1	8	47-25	40
8.სასუოლო	23	9	8	6	37-34	35
9.ვერონა	23	9	7	7	30-26	34
10.სამპდორია	23	9	3	11	33-34	30
11.ჯენოა	23	6	8	9	26-33	26
12.ბოლონია	23	6	7	10	30-37	25
13.უდინეზე	23	6	7	10	25-33	25
14.ფიორენტინა	23	6	7	10	25-35	25
15.ბენევენტო	23	6	7	10	25-42	25
16.სპეცია	23	6	6	11	30-41	24
17.ტორინო	23	3	11	9	33-41	20
18.კალიარი	23	3	6	14	24-41	15
19.პარმა	23	2	8	13	17-45	14
20.კროტონე	23	3	3	17	23-55	12

საფრანგეთი. ლიგა 2

გენგამი-კაენი 2:2

პორტუგალია. ჩემპიონატი ლიგა

მარიტიმუ-პორტუ 1:2

ბელგია. ა დივიზიონი

ბრიუგე-ლეუვენი 3:0

თურქეთი. სუპერლიგა

ანკარაგიუჯიუ-რიზე 1:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანეთოლიკოსი-პანათინაიკოსი 1:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

პიასტი-ვარტა 0:1

უკრაინა. ჩემპიონატი

ოლიმპიკი-დნიპრო 0:2

დანია. სუპერლიგა

ლუნგბიუ-კოპენჰაგენი 2:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. აეროპორტი პრაღაში; 2. იაპონური მოტოციკლეტი; 3. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 4. უნივერსიტეტი მადრიდში; 6. პირველი ამერიკელი ასტრონავტი ქალი; 8. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 11. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 12. მზის სისტემის პლანეტა; 16. ხშირი, ტყიანი ზონა ევროპის, აზიის და ამერიკის ჩრდილოეთში; 17. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 1. მოხეტიალე მომღერალი-მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 5. ჯეიმს ჯოისის რომანი; 7. ქართული კონიაკი; 9. ხილის წვენებით შეზავებული ტკბილი მაწონი; 10. ღვინის, ლუდის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 13. ბრიტანული ხილის ნამცხვარი; 14. „ფორმულა-1-ში“ მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 15. მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 19. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 20. დაქირავებული ტაშის დამკვრელი თეატრში, კონცერტზე; 21. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 22. ჯაკომო პუჩინის ოპერა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყვირილა; 2. ჟინვალი; 3. აგუერო; 4. მაზდა; 5. მუკუზანი; 7. ყრუ; 11. ლუგელა; 15. არიფანა; 16. კომბლე; 17. კატაი; 18. პონტო; 20. გუელი; 22. კალა.

თარაზულად: 6. ვარაყი; 8. ქირურგი; 9. მაზურკა; 10. რაშკული; 12. მერია; 13. აღაზა; 14. ჯარგვალი; 19. ეპილოგი; 21. ხანუკა; 23. ონიმა; 24. კაპელა; 25. ინსულტი; 26. მონპელიე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სალათი; 2. იყალთო; 3. პანდემია; 4. ჩხოუში; 6. ზედაზენი; 8. ანდორა; 11. ხოდაბუნი; 12. ფოლორცი; 16. ჰერში; 17. მყესი; 18. ხირსა.

თარაზულად: 1. სპრინტი; 5. კრუზი; 7. კალმახი; 9. აფალინა; 10. წუმწუმა; 13. რევიზია; 14. ბორანი; 15. კობი; 19. ჰონვედი; 20. წყალტუბო; 21. ნინოშვილი; 22. ლიძავა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3084

ევრო — 4.0138

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6410

100 რუსული რუბლი — 4.4335

ამინდის პროგნოზი 24 თებერვლისათვის

2 მარტიდან

ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია

ტომი 3

სერია „ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგიაში“ თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქისა და მიმდინარეობის ქართველი მწერლების რჩეული საბავშვო მოთხრობები. მათი წაკითხვა ფრიად გაამდიდრებს ბავშვის ფანტაზიას, წარმოსახვის უნარს, ლექსიკას და შეაყვარებს ლიტერატურას.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ბარსელონა ლანგლეს გაყიდვაზე ფიქრობს



ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბარსელონა ფრანგი ცენტრალური მცველის კლემან ლანგლეს გაყიდვას აპირებს, რადგან ბოლო პერიოდში ის ბევრ შეცდომას უშვებს.

კადისთან შეხვედრაში ლანგლემ ბოლო წუთზე პენალტი აიკიდა და ამის გამო ბარსელონამ მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა. გარდა ამისა, ლანგლემ რონალდ კუმანის ნდობაც დაკარგა და დიდი ალბათობით მომავალ მატჩებში მას სათადარიგოთა სკამზე ვიხილავთ.

მბაპე კონტრაქტის გახანგრძლივებას არ ჩქარობს



პსჟ-ს ფორვარდი კილიან მბაპე ჯერჯერობით თავის გუნდთან კონტრაქტის გახანგრძლივებას არ ჩქარობს და შესაძლოა ის ანაზღაურების მომატებას ელოდება, თუმცა მისი ხელფასი ისედაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალია საფრანგეთში.

მბაპეს შეძენა ყველაზე მეტად მადრიდის რეალს სურს, თუმცა მისით ინგლისური გრანდებიც, კერძოდ კი, ლივერპული დაინტერესდა, თუმცა პსჟ მბაპეს ტრანსფერში 200 მილიონს ითხოვს, რაც პანდემიის ფონზე კოლოსალური თანხაა.

რამოსი მოედანზე მარტის შუა რიცხვებში დაბრუნდება

მადრიდის რეალის ცენტრალური მცველი სერხიო რამოსი მოედანზე მარტის შუა რიცხვებში დაბრუნდება. ამის შესახებ ინფორმაცია ესპანურ პრესაში ვრცელდება.

რამოსმა ტრავმა თებერვლის დასაწყისში მიიღო და მას ამ მიზეზით თვენახევარი გაუცდა. რეალს თავიდან ძალიან უჭირდა მის გარეშე თამაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დიდი ალბათობით რამოსი სეზონის ბოლოს რეალს დატოვებს, რადგან მან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი თქვა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

24 თებერვლისათვის

ვერძი – ნებისმიერი ფინანსური ოპერაციისათვის შეუფერებელი დღეა. არ იაქტიუროთ. **კურო** – ემოციები შეიკავეთ. აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა. **ტყუპები** – პიროვნული მომხიბვლელობა ახალი საქმიანი კონტაქტების დამყარებაში დაგეხმარებათ. მამაკაცებს პირად ცხოვრებაში პრობლემები გექმნებათ. **კირჩხიბი** – ნებისმიერ საქმეს წარმატებით შეასრულებთ. ნუ ეცდებით ზედმეტი პასუხისმგებლობის აღებას. **ლომი** – გელით საინტერესო შეხვედრები. სასარგებლოა კოლექტიური საქმიანობა. **ქალწული** – წინააღმდეგობრივი დღეა. ფული მომჭირნედ ხარჯეთ. საყიდლებზე წასვლას დღეს არ გირჩევთ. **სასწორი** – შესაძლოა სამსახური ან შემოსავლის წყარო შეგეცვალოთ. მზად იყავით ახალი შემოთავაზებებისათვის. **ღრიანკალი** – შემოქმედებითი დღეა. თვითრეალიზაციას მშვენივრად ახერხებთ. სასიამოვნო იქნება ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობა. **მშვილდოსანი** – კომერციულ სფეროში გიმართლებთ. ნუ გარისკავთ. **თხის რქა** – პატიოსნად იშრომეთ, ნურავის მოატყუებთ. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. **ვერცხელი** – პერსპექტიული დღეა. გეგმების განხორციელებაში პლანეტები ხელს გიწყობენ. **თევზები** – იმედი გიცრუვდებათ. ნურაფერს დაგეგმავთ. მოვლენები არ დააჩქაროთ.

გისუსტებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– სვამ?
– არა.
– ეწევი?
– არა.
– ნარკოტიკებს ეტანები?
– არა.
– აბა დაძაბულობას რითი იხსნი?
– უბრალოდ, სრულიადაც არ ვიძაბები.

●●●

სააბაზანოდან გამოსულ ქმარს ცოლი ეუბნება:
– საყვარელო, მინდა, რომ დამსაჯო, მკაცრად დამსაჯო.
– კარგი, ერთი კვირა უინტერნეტოდ!

●●●

პატარა ბიჭი ბიძას ეუბნება:
– მადლობა, აშოტა ბიძია, საყვირის ჩუქებისთვის.
– არაფერს, სეროჟ, სულ რაღაც ათი ლარი ღირდა.
– სამაგიეროდ, ახლა ყოველდღე 20 ლარს მაძლევენ, რომ არ დავუკრა!

●●●

დედამთილი რძალს ეუბნება:
– რისთვის დასაჯა უფალმა ჩემი შვილი შენისთანა ცოლით?..
– თქვენი ცოდვებისთვის, დედა, თქვენი ცოდვებისთვის!

●●●

სახლში დაბრუნებულ ქმარს ცოლი გახარებული შეეგება და დაიძახა:
– ვაშაა! ქმარი დაბრუნდა!
ქმარი შეშინებული გამომეტყველებით:
– იქნებ დაფიქრდე, ზოგჯერ რას ამბობ!
– რა მოხდა, საყვარელო?
– კინაღამ ფანჯრიდან გადავხტი!\

●●●

რესტორანში კლიენტი ოფიციანტს ეკითხება:
– მე ვეგეტარიანელი ვარ, ვერ ვიტანს ხორცს და რძის პროდუქტებს, რა შემიძლია შევუკვეთო?
– ტაქსი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გელა ჩარკვიანი: „შეგახსენებთ, განსაკუთრებით ახალგაზრდებს“

მწერალი და მუსიკოსი გელა ჩარკვიანი ახალგაზრდებს შეახსენებს იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც მათი მომავალი ცხოვრებისთვის აუცილებელია:

– ბევრჯერ გამიგონია, ნატოში მაინც არ მიგვიღებენ და თავს რატომ ვიტყუებთ, არ ჯობია განვაცხადოთ, რომ აღარ ვაპირებთ და აფხაზეთსაც დაგვიბრუნებენო. ნატოში, ისე, როგორც ევროკავშირში, გაწევრიანებას შეიძლება მართლაც ძალიან დიდი დრო დასჭირდეს. დასანანია, რომ ნატოს გაფართოების წინააღმდეგ მიმართული აზრები წინა წლებში ზოგჯერ დასავლურ, კერძოდ, ამერიკულ მედიაშიც გაიჟღერებდა ხოლმე. „რატომ ვაწყენინებთ პუტინს ნატოს გაფართოებით“. გეგონებათ, თითქოს ნატოს გაფართოება რუსეთის ტერიტორიის ხარჯზე ხდებოდეს. „ნუ მივიღებთ ნატოში საქართველოსა და უკრაინას, მაგრამ იმავდროულად მოვთხოვოთ რუსეთს ეთიკური ქცევა, ამ ქვეყნების სრული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და მათი ტერიტორიული მთლიანობის გარანტირება“.

როგორ მოგწონთ? ყირიმისა და აღმოსავლეთ უკრაინაში მომხდარი ამბების შემდეგ დასავლეთში ამგვარი ხედვა იშვიათობას წარმოადგენს, ჩვენში კი, ღმერთმა ქნას ვცდებოდე, ამგვარად მოაზროვნე ადამიანების რიცხვმა, მგონი, იმატა. პირველი, რაც ყველამ უნდა შეიგნოს, არის ის, რომ აფხაზეთის დაკარგვას ნატოს თემასთან არავითარი კავშირი არა აქვს. შეგახსენებთ, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ფაქტობრივად, აფხაზეთის ოკუპაცია რუსეთის მიერ მოხდა 1993 წელს, სოხუმი 27 სექტემბერს დაეცა. მაშინ ნატოში გაწევრიანებაზე ლაპარაკი არავის თავშიც არ მოუვიდოდა. ეს ორი თემა შემდგომში ერთმანეთს ხელოვნურად მიაბეს საქართველოს ევროინტეგრაციის წინააღმდეგ მოქმედმა ძალებმა – არ მოვითხოვთ ნატოში შესვლას, დაგვიბრუნებენ აფხაზეთს. მარტივი და გასაგებია რიგითი ამომრჩევლისთვის.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რატომაა აუცილებელი ჩვენთვის – მივისწრაფოდეთ ნატოს და ევროკავშირის წევრობისაკენ. რა თქმა უნდა, საბოლოო მიზანი ამ ორგანიზაციებში სრულფასოვანი წევრობაა, რომელიც, როგორც ითქვა, შესაძლოა კიდევ დიდხანს არ მოხდეს, მაგრამ ჩვენთვის, გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვი, რომ მიზანზე არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად პროცესი, ანუ მიზნისკენ მიმავალი გზა. ამ ორგანიზაციების მკაცრი მოთხოვნების შესრულება ხვეწს ჩვენს პოლიტიკურ ინსტიტუტებს და სულ უფრო ამსგავსებს ჩვენს ახალგაზრდა დემოკრატიას თავის ევროპულ ანალოგებს. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება. დამოუკიდებელი არსებობის წლებმა დაგვარწმუნა, რომ საქართველოს პოლიტიკური სისტემა ჯერ კიდევ ბოლომდე დაბალანსებული და სანდო არ არის. ჩვენი ინსტიტუტები ურთიერთგაწონასწორების ფუნქციებს უმეტესწილად ვერ ასრულებენ. მთავრობები, ზოგჯერ გამოუცდელობით, ზოგჯერ კი აშკარად საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების, ან სულაც გამარადისების მიზნით, ქვეყნისთვის საზიანო გადაწყვეტილებებს იღებენ. თუ ქვეყანა გადაუხვევს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზიდან, მაშინ ამგვარი გადაწყვეტილებების კორექცია აღარასდროს მოხდება და ნატოს, ევროკავშირის და, საერთოდ, დასავლური საზოგადოებრივი აზრის გავლენისაგან მთლიანად თავისუფალი საქართველოს მთავრობა მოიქცევა ისე, როგორც გაუხარდება. ეს კი ყველა ჩვენგანს არათავისუფალ საზოგადოებაში ცხოვრების საშიშროებას შეგვიქმნის და დაემუქრება იმ მეტ-ნაკლებ დაცულობასა და უფლებებს, რომლებიც დასავლეთის ქვეყნების დახმარებით, ესოდენ დიდი ძალისხმევის შედეგად მოვიხვეჭეთ.

სოფო ბათილაშვილი: „არ მინდა რუსეთი!“

მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართულის“ პირველი სეზონის გამარჯვებული, მომღერალი სოფო ბათილაშვილი საჯაროდ აცხადებს, რომ არც რუსეთი უნდა და არც რუსული პოლიტიკა:

– ყველას გაქცევა უნდა აქედან, ყველას, ვისზეც სახელმწიფო, წესით, იმედს უნდა ამყარებდეს.

ძალიან ძნელია ვინმე ამის გამო გააკრიტიკო, იმდენად არასტაბილურ, ჩამყაყებულ და სრულიად მორღვეულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც არ გაქვს ოდნავი სანდოობის განცდაც კი. რაც დილის გადაცემაში ვმუშაობ, უფრო ახლოს მომიწია სხვადასხვა სფეროებში დამდგარ პრობლემებთან სახის გასწორება და უფრო მეტად მაღიზიანებს ხელისუფლების უსაქმურობა.

მელიას დაიჭერდნენ თუ ტურას, აქ ამაზე არაა საუბარი. აქ იმაზეა საუბარი, რომ ოპოზიციაზე შურისძიება იყო მოტივი და არა კანონი. კანონი და მორალური ღირებულებები რომ ადარდებდეთ, გავრილოვს არ გამოსვამდნენ პარლამენტში ურცხვად.

კანონის აღსრულების მოტივით ოპოზიციური ლიდერი დაიჭირეს მათ, ვინც არჩევნები გააყალბეს და საკუთარი ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს, შვილებს ხმები მოპარეს.

ჩრდილოეთზე ბევრი მსმენია და ზუსტად ვიცი, რომ საერთოდ არ მინდა მაგ რეალობაში ცხოვრება.

არ მინდა რუსული პოლიტიკა, არ მინდა რუსეთი! არ მინდა არც კარიერული წარმატებისთვის, არც ფულისთვის და არც რამენაირი ბროლის კოშკებისთვის. ჩემი ქვეყნის თავისუფლებაზე უზენაესი ღირებულება არ არსებობს ბუნებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ქართული მხატვრულ ფილმ „ვედრებას“ რეჟისორი; 2. სისხლის აღების ადათი სიცილიასა და კორსიკაში; 3. უარყოფითად დამუხტული იონი; 4. დროის დიდი მონაკვეთი; 5. ყველაზე დიდი ტბა საქართველოში; 7. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 11. შტატი აშშ-ში; 15. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო გაერთიანება; 16. საქსოვი მანქანის გამომგონებელი ფრანგი ინჟინერი; 17. პირველი ახლად მოსული თოვლი; 18. ტელეგრაფის გამომგონებელი ამერიკელი მხატვარი; 20. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 22. ბერძნული ყველი.

თარაზულად: 6. ქოთანში მზარდი მინიატურული დეკორატიული ჩინური ხე; 8. აშშ-ის ელჩი საქართველოში; 9. შვეიცარიელი მხატვარი; 10. გარკვეულ უბნებზე, სახიფათო ადგილებში გემების გატარების სპეციალისტი; 12. მესაქონლეობის მსხვილი ფერმა ლათინურ ამერიკაში; 13. მდინარის მიერ მოტანილი სილა, თიხა, ღორღი; 14. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 19. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 21. მმართველთა უმაღლესი ტიტული მუსლიმანურ ქვეყნებში ძველად; 23. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 24. შაქრიანი დიაბეტის ძველი ქართული სახელწოდება; 25. სახლზე მიშენებული პატარა საცხოვრებელი შენობა; 26. ნაფიც მსაჯულთა გამოტანილი განაჩენი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა